


ი3. პავანის სახელობის ისტორიისა და
ითხოვთ ინსტიტუტი

ISSN 1512-2700

პაველის ეთნოლოგიური პრეპული

IX



ეძღვნება ქართველი მეცნიერის
რუსულან ხარაძის
ხსოვნას

3/1 - 1650

୧୦୮. ପାତ୍ରବ୍ୟକୁଳରେଣୁରୀଙ୍କ ଏହି କାହାର
୧୦୯. ଜୁଗାଳେଷ୍ଟର୍ରେଣୁରୀଙ୍କ ଏହି କାହାର
~~ଶେରଟାନ୍ତରୀରେ କୋଟିଲୁଗୁଳିରୀଙ୍କ~~
୧୧୦. କୋଟିଲୁଗୁଳିରୀଙ୍କ
୧୧୧. କୋଟିଲୁଗୁଳିରୀଙ୍କ



თბილისი

2005

28. Характер сельской общины грузин-горцев по этнографическим материалам. Доклад на VII международном конгрессе антропологов и этнографов в Москве, М., 1964
29. Nature of Social Organization of Rural Community of Ethnographic Materials of Georgian Mountaineers. VII International Congress of Anthropological and Ethnological Sciences. M., 1964
30. რედაქტორისაგან. კვ I, თბ., 1964
31. Хевсурское аглуми - древняя форма общественно-экономического объединения. КЭС, I, 1964
32. სვანური "ლამზევირ"-ის მნიშვნელობისათვის (აღ. რთბაქიძესთან ერთად). აკად. ბ. ბერძენიშვილისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1966
33. Жилища и поселения горных ингушей (совм. с Робакидзе А.И.), КЭС, т. II, Тб., 1968 г.

Кетеван Хуцишвили

ПРОБЛЕМА ИССЛЕДОВАНИЯ ИСТОРИЧЕСКОЙ ДИНАМИКИ ФОРМ НАСИЛИЯ (По этнографическим данным)

В социальной антропологии значительное место занимает изучение насилия, как одна из характеристик культуры. Разносторонние интердисциплинарные исследования в этой сфере, в течение ряда лет, придали стимул на современном этапе развитию новых направлений, которые изучают причины, цели и общие основы существования насилия в человеческом обществе, его культурную сущность и историческую динамику.

Для наблюдения исторической динамики форм насилия, наиболее интересный материал дает грузинский быт. Объектом исследования зафиксированных форм насилия является горная местность восточной Грузии (Тушети-Пшави-Хевсурети). В частности тех форм насилия, которые связаны с институтами кровной мести и изгнания из общины. Даные о них, об отношении к ним и об их функциональной нагрузке хранятся в письменных источниках, исторических документах, в быту, в трудах грузинских этнографов.

Существуют различные дефиниции насилия, зависящие от выбора исходной точки зрения. Насилие подразумевает психическое или физическое вынуждение, направленное к подавлению противостояния и воли личности или группы людей. Оно подразумевает вмешательство извне, вынуждающее совершать поступки против воли и вызывающее страдания (Holsherr: 1982; 376). В словаре прав человека насилие объясняется как: демонстрация силы с целью приобретения влияния над личностью или ее уничтожения (словарь прав человека: 1999; 117). Противоречивость феномена насилия мешает выработать всеобщее определение. В связи с этим сравнительное исследование этого феномена характеризуется определенными пробелами.

При изучении вопроса препятствием также является конотация термина и отрицательное отношение общества к этому феномену. По этой причине в течение долгого времени насилие рассматривалось как оппозиционная пара цивилизации и культуры. На протяжении ряда лет исследование таких форм насилия, как войны, открытые конфликты и т.д. давали возможность социальным антропологам связать вопрос насилия с

тем или иным конкретным общественным мировоззрением, мифологией, религией и системой ценностей. Насилие предстало как неотъемлемый элемент культуры. С этой точки зрения интересны процессы, происходящие внутри общества, в особенности формы насилия выявленные в взаимоотношениях между традиционным обществом и его членами. Касательно этой теме существует объемный материал.

Во время исследований большое значение принимает предсмотрение и изучение форм поведения в микромире, в результате чего, в ряде случаев, восстановление полной картины процесса в целом меняет отношение к конкретному проявлению формы насилия. В частности, с юридической точки зрения факт, принятый за насилие, не воспринимается таковым с точки зрения антропологии, так как дело касается системы ценностей и мировоззрения каждой конкретной группы или общества. Из грузинских исследователей первыми на этот вопрос обратили внимание Н. Хизанишвили и С. Макалатия, которые привычную кровную месть членов общины рассматривали как "божеский долг" (Макалатия: 1985; 76), считали обязательным (Г.о.п: 1988; 102) и таким образом, его, как проявление насилия связывали с конкретными историко-общественными условиями развития общества. Это уже указание на рациональный смысл насилия

Если подход к проявлениям насилия рассматривать без учета этой точки зрения, то тогда мы затронем только их инструментальную сторону, то есть их внешнюю форму, что, чаще всего исключает рациональные элементы. Примером можно привести обычай отсечения у убитого правой руки и другие подобные проявления, которые не дают возможность их объяснения, исходя только с технической стороны. Поэтому становится невозможным объяснение вышеуказанного примера, не учитывая кодекс чести, систему общественных ценностей и религиозных представлений. Из-за этой проблемы большинство современных социал-антропологов, работающих над проблемой насилия, признают ее рациональным феноменом культуры и считают, что культурные измерения насилия более значительны, чем его инструментальные проявления, которые часто рассматриваются без общего анализа контекста и поэтому представляются нам непроверенными действиями. По мнению Антона Блока, насилие есть не что иное, как исторически развитая и изменчивая форма интерактивности и коммуникативности (Blok: 1998; 3). Так что, любое проявление насилия характерно для определенной ступени развития общества и связано с соответствующей системой ценностей.

С этой стороны наиболее интересны материалы этнографического быта традиционных обществ. Этим объясняется, что в сферу интересов социал-антропологов вошло изучение соотношения традиционного обычного права и насилия. Традиционно узаконенные обычным правом формы насилия долго сохраняют жизнеспособность. Нередки случаи официальной легитимизации обычного права. Из грузинской действительности примером этого можно привести книгу права Вахтанга VI, где сказано: "Эти кровные приговоры, которые мы написали, утверждены давно и мы ничего не добавляли" (Вахтанг VI: 1955; 58). Подобная легализация и параллельно пресечение в традиционных обществах осуществляется обычным правом и табуированием. Трудно представить социальную группу, где не допущены определенные формы насилия. В основном это касается мер пресечения и наказания направленных против своих же членов. В соотношении с этим, проблема насилия связывается с проблемой идентичности. Членство конкретной группы, особенно на примере горных районов Грузии, если это группа сакральная община, считается не только делом чести, но и святой обязанностью и изгнание из нее считается потерей чести, достоинства и, таким образом, личностной идентичности. Поэтому тот или иной член группы предпочитает принести себя в жертву и подчиниться законам группы, чем противостоять ей. В этом случае становится не только оправданным и допустимым, но и обязательным принятие допущенных в группе форм насилия. Если личность не подчинится ценностям, признанным его группой он сам может стать жертвой: кто откажется, например, от кровной мести, тот теряет свой статус и позицию в обществе. Его положение постепенно ухудшается и образуется такая невыносимая моральная ситуация внутри его же группы (если не будут применены худшие меры), что он вынужден или оторваться от группы, или покориться ее воле.

Основной причиной противостояния общин с ее членами являются действия, направленные против целостности общины. Р. Топчишвили в статье "Тенденции выделения личности и социальной группы из общины в Хевсурети" выделяет десять причин, которые могли стать предметом такого противостояния. Это: 1. присваивание общинных угодий (земель святыни, пахотных земель, лугов, лесов); 2. присваивание поместий соседей или других членов общины и отведения земельной границы; 3. противостояние святыням общины и предпочтение личных интересов интересам общества: строительство дома в родовом поместье, невыполнение обязательств перед святынями общиной национального

(обычного) права и принятие решения по тому или иному судебному делу исходя из личных воззрений; 5. кража и присваивание скота, овец у членов своей общины или вне ее; 6. насилие над членами своей и других общин; 7. чрезмерное истребление представителей соседних негрузинских этнических единиц (вайнахов); 8. нарушение обычая и традиций, характерных для горных общин (в конкретном случае традиций гостеприимства); 9. нарушение традиционно существующих взаимосвязей человека с природой (экологии); 10. оказание помощи вторгнувшемуся врагу (Топчишвили: 1991; 104). Эти причины вместе с изменой общине, клятвоотступничеством, нарушением разных правил рода могли стать основой особенно тяжких преступлений, направленных против общества. По мнению Д. Джалабадзе с течением времени облегчение наказания, характерных для таких преступлений, указывает на слабость качества преступлений, что должно было быть связано с уменьшением значимости общины (Г.о.п.: 1991; 16). Община, подобно любому социально-му объединению, склонна сохранять себя установлением определенных норм и ограничений для своих членов. Какими бы с первого взгляда насильтственными и нерациональными казались эти правила, они способствуют идентификации и укреплению чувства принадлежности членов группы и, исходя из этого, являются рациональными и имеющими функцию. Структуру общинны, правила поведения и каждое проявление ее существования можно считать символическим выражением ее сущности. Такой символический характер имеет и инструментальная сторона проявления насилия со стороны общины или внутри нее, что превращает его в ритуализированную форму коммуникации.

Условием существования общины являлась ее сплоченность, и поэтому она старалась определенными, иногда установленными силовыми нормами, искоренить возможные тенденции ослабления ее внутренних связей, что, в свою очередь, следует из законов существования всякой социальной организации. Согласно заключению Р. Топчишвили: "Община была настолько сильной, что существовали только тенденции противостояния ей и отделения от нее. Община же, прежде, чем принять крайние меры, предупреждала непокорных, потом подвергала проклятию и после этого изгоняла или уничтожала их" (Топчишвили: 1991; 104-105).

Несмотря на силовые меры, такие действия содержат в себе позитивные цели и направлены на укрепление демонстрацию отношении внутри группы. С их помощью дается форма социальным действиям.

Большинство ученых рассматривают человечество и насилие как неразделимые понятия. В ряде случаев насилие предстает как необходимое условие развития и прогресса. Если воспринимать культуру, как обработанную человеком внешнюю среду, то насилие есть один из ее элементов, который вместе с другими элементами культуры, представляют жизненную необходимость человека.

Часто, использование форм насилия имеет вполне рациональное объяснение. Например, по мнению С. Макалатия, основой того же обычая кровной мести, со стороны рода, было потребностью возместить потерю рабочей силы и воина и, в случае неудовлетворения, начиналась вражда на протяжении поколений, пока какая-нибудь из сторон не потребовала бы примирения. (Г.о.п.: 1988; 133).

В то же время, объяснение насилия только практическим значением было бы односторонним. По мнению П. Клосса (Kloss: 1997) задачей антропологов является представить в целом утилитарные, инструментальные, функциональные и практические аспекты насилия и таким путем показать его полное социальное лицо.

Насилие неизменчивый факт, это исторически развитая культурная категория. С течением времени традиционные, исторически сформировавшиеся многие формы насилия теряют свои функции, некоторые пытаются трансформацию, параллельно с этим формируются новые формы с новыми средствами и целями, разъяснение смысла которых дает возможность увидеть тенденции развития общества. Иногда эти изменения обусловлены изменениями общего контекста и отражаются во внедрении новых норм обычного права. Примером этого является принятие Архотской общиной в 1937 году постановления об изменении в правилах кровной мести, что описывает С. Макалатия (Макалатия: 1984; 89-92). На основании этого постановления от ответственности за убийство освобождались двоюродные братья и родственники убийцы. Оно возлагалось только на убийцу и его семью. Срок кровной мести истекал со смертью убийцы и месть прекращалась (Г.о.п.: 1988; 137). На этом примере хорошо видно изменение ценностей, и то, как новый уровень развития общества определяет допустимые и недопустимые формы насилия и превращает их в норму, ограничивает или запрещает. На первых порах изменения внедряются медленно с большим сопротивлением. Что касается кровной мести, на основании данных 1986г. в Пшави (Г.о.п.: 1988; 145), на почве кровной вражды убийства или факты ранений редки или вовсе не

зафиксированы. М. Кекелия приводит пример того, что уже сама мать убитого сына против возмездия (Г.о.п.: 1988; 146). Основной причиной этих изменений является трансформация традиционного общества. Изменение ее функций связано с модификацией экономических, политических, идеологических основ и отражается в новых символах и ценностях.

Анализ грузинских этнографических данных дает возможность наблюдать за процессами превращения определенных форм поведения в насилие или процессов превращения некоторых форм насилия в норму. Это создает основу для вывода, что выявленные формы насилия со стороны человека по отношению к природе, человека по отношению к другому человеку, социума по отношению к человеку и социуму по отношению к другому социуму соответствуют системам ценностей характерных для определенного периода культурно-исторического развития общества. Таким образом реконструирование исторической динамики форм насилия возможно только путем показа исторической динамики системы ценностей.

Использованная литература:

1. Словарь прав человека, Тбилиси, 1999 (на грузинском языке)
2. Вахтанг VI, Книга права, Тбилиси, 1955 (на грузинском языке)
3. Топчишвили Р., Тенденции выделения личности и социальной группы из общины в Хевсурети, сб. "грузино-кавказские этнографические штудии (1988)", Тбилиси, 1991 (на грузинском языке)
4. Макалатия С., Пshawi, Тбилиси, 1985 (на грузинском языке)
5. Грузинское обычное право I, Тбилиси, 1988 (на грузинском языке)
6. Грузинское обычное право, 3, Тбилиси, 1991 (на грузинском языке)
7. Хизанишвили Н. Этнографические записки, Тбилиси, 1940 (на груз. яз.)
8. Blok A. Violence and the sacred, Worldviews of violence, Book of Abstracts of 5th Biennial EASA Conference, Frankfurt am Main, 1998
9. Holzherr G. Berichte und Studien der Hann Seidel Stiftung, Juridische Probleme im Zusammenhang mit den sog. Jugendreligionen, Muenchen, 1982
10. Kloos F. The struggle between the Lion and the Tiger, journal "The Politics of Ethnic Consciousness", London, 1997

დავით ხიზანაშვილი — აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგრაფიული ყოფის მკვლევარი

ეროვნული თვითშეგნების უდიდესი აღმავლობა, დამახასიათებელი XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოსთვის, უპირველეს ყოვლისა, აისახა საზოგადოების ცხოველ დაინტერესებაში ხალხის ყოფითა და კულტურით. ამ ინტერესის გაღვივებას და მის პრაქტიკულ საქმიანობაში ხორციელდა დიდად შეუწყვეს ხელა ქართველმა განმინათლებლებმა, ე. წ. „სამოციანელებმა“. მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებს კარგად ესმოდათ, რომ საკუთარი ეროვნული რაობის გარკვევას, ქვეყნის ისტორიით, მისი წარსულით და ანტყოფით დაინტერესებას შეეძლო აღედგინა ქართველი ერის დარღვეული ერთიანობა, აღმოეფხვრა გამეფებული კუთხურობა. იმ დროის პროგრესული გამოცემების ფურცლებზე ხშირად ქვეყნდებოდა მონოდებები მოსახველე ახალგაზრდობის, ცნობილი მოღვაწეების, უბრალოდ, მკითხველთა მიმართ შეეკრიბათ და მიენოდებინათ რედაქციისთვის ხალხული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ადათ-წესები, რელიგიური დღესასწაულების აღნერა, ხალხის საყოფაცხოვრებო მხარეების ამსახველი წერილები. „დროების“ უცვლელი რედაქტორი ოცი წლის მანძილზე სერგეი მესხი, „ივერიის“ სულისჩამდგმელი და რედაქტორი ილია ჭავჭავაძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ხალხის ზნე-ჩვეულებების დადგენას, მისი ისტორიული წარსულის შესახვალას: „თუ შვილებს მამებისა და წინაპრების ცხოვრება არ ეცოდნებათ, — ნერდა სერგეი მესხი, — უამისოთ განა ისტორიული პროგრესი, ხალხის წარმატება შეიძლება? როგორ უნდა დაადგენ შვილები უკეთეს გზას, როგორ უნდა გააუმჯობესოს ხალხმა თავისი ისტორიული ცხოვრება, თუ არ იცის რა გზაზე მდგარან იმისი წინაპრები, რა შეცდომა ან ლირება მოიპოვება იმათს საზოგადო ცხოვრებაში, რომელი ისტორიული მოვლენა ყოფილა იმათვის სასარგებლო და რომელი მავნებელი?“ (ს. მესხი, „ერთი ნომერი ძველი გაზეთისა“, „დროება“, 1875 წ.). ხალხის ეთნოგრაფიული ყოფის შესახვლის აუცილებლობას მკაფიოდ ასაბუთებს ილია ჭავჭავაძე ხალხის ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების შესწავლისადმი მიძღვნილ საპროგრამო სტატიაში „ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“: „ამ ბოლო დროს ჩვენს განათლებულ საზოგადოებაში გაჩნდა ერთი საყურადღებო მოვლენა, — ვითხულობთ სტატიაში, — რომელსაც დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს ხალხის გონიერასა და ცნობიერების განვითარებაზედ, ეროვნულ წარმატებაზედ. ეს მოვლენა სახალხო ლექსე-

Список литературы

- 1) Дробижева Л. М. "Социально-культурная дистанция, как фактор межэтнических отношений", в сбор." Идентичность и конфликт в постсоветских государствах". Москва, 1997 г.
 - 2) Лебедева Н. М. "Новые возможности одной известной концепции", Психолог. журнал. Т. 10, №2, 1989 г.
 - 3) Московичи С. "Социальные представления: исторический взгляд" Психологический журнал т. 16 №2, 1995 г.
 - 4) Меликишвили Л. Ш. "Конфликт как социальное явление", в кн. Полиэтническое общество и конфликт. Тбилиси, 1998 г.
 - 5) Надирашвили Ш. Понятие установки в общей и социальной психологии, Изд. "Мецниереба", Тбилиси, 1974
 - 6) Солдатова Г. У. "Психология межэтнической напряженности." Москва, Смысл, 1998 г.

სალომე ბახია-ოქროუაშვილი

აზერბაიჯანის ტოპოგრაფიული და ანთროპოგრაფიული

3. პოლისონიმები

აფხაზეთი ქალაქების სიმრავლით არ გამოიჩინევა, მაგრამ თავისი მნიშვნელობით ზოგიერთი მათგანი ძველთაგანვე ღირშესანიშნავი ხასიათისა იყო, რომელიც სხვადასხვა პერიოდშია დაარსებული. საქართველოს ხალხის ცხოვრებაში მომზდარი ისტორიული მოვლენების მიუხედავად, აფხაზეთის ქალაქების საკუთარმა სახელებმა ჩვენამდე თითქმის უცვლელად მოაღწია. ასეთებია მაგ.: ბიჭვინთა, გაგრა, სოხუმი (ცხუმი), ოჩიმიჩირე, ანაკოფია, ილორი და სხვ. ქვეყნაში ისინი თავისი სოციალურ-ეკონომიკური, რელიგიური, საშინაო და საგარეო სავაჭრო ურთიერთობებით გამოიჩინებოდნენ. უმეტეს მათგანს საპორტო მნიშვნელობა ჰქონდა. ძველად როგორც ნერილობით, ისე კარტოგრაფიულ წყაროებში სწორედ ასეთი ცენტრიები აღირიცხებოდა. აქაური მოსახლეობის ვინაობის დასადგენად აუცილებლად მიგანია გაირკვეს რომელ ენაზე და რომელი ხალხის მიერაა შექმნილი ეს პოლისონიმები.

გაგრა — მდებარეობს აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, გაგრის ყურეში, პატარა მდინარე უოკვარას ხეობაში. როგორც ჩანს, მისი სახელწოდება ძველთაგანვე იყო გაგრა. XIV საუკუნის ძველქართულ ნარწერასა [37.199; 15.133] და კარტოგრაფიულ წყაროში გაგრად მოიხსენიება. პირველად იგი ცნობილი ხდება XIII საუკუნის ვენეციური რუკის მეშვეობით, სადაც გაგრა მოცემულია Chatari [62.821-822] ფორმით. 1318 წ. 3. ვესკონტეს შავი ზღვის რუკაზე იგი გვხვდება, როგორც Cacary [61.]. გენუელები ქ. გაგრას კაკარს, კაკრს, ხაკარს, ხატარს, კარკარს უწოდებდნენ. თურქები მას კაკურის სახელით იცნობდნენ [74.13,31,32]. თუმცა, ევლია ჩელები მას კაკრს უწოდებდა [13.100]. XIV-XVII ს. ს. შავიზღვისპიროთის იტალიურ რუკებზე ეს ქალაქი Cacara, Cacari, Carcari [62. 827, 830, 834] სახელწოდებით გვხვდება. გერმანელი ლინგვისტი ი. კლაპროთი 1814 წ. თავის მიერ შედგინილ რუკაზე ქ. გაგრას დერბენტს (თურქულად — ხეობის ვიწრო გასავალი) [74.31], ხოლო შევიცარიელი სიძველეთა მკვლევარი დიუბუა დე მონპერე (XVIII საუკუნის დასასრული XIX საუკუნის დასაწყისი) გაგრად მოიხსენიებდა [28.404]. კ. პანი ფიქრობდა, რომ ქ. გაგრის სახელწოდება აყრით-დან უნდა ყოფილიყო მიღებული, რაც ბარბაროსა აღნიშნავდა [63.25]. 1893 წ. აფხაზეთის რუკაზე ქალაქი დადასტურებულ იქნა გაგრის სახელწოდებით [35.]. დ. პაგირევის ხუთვერსიან რუკაზე და

ანბანურ საძიებელშიც იგი გაგრის სახელწოდებით არის ფიქსირებული [82.54].

ეტიმოლოგიურად გაგრა პოლისონიმის ახსნის სხვადასხვა მცდელობა არსებობს. აფხაზი მეცნიერები მის ამოსავალს აფხაზურ ენაში ეძიებდნენ. მაგ.: ბ. ანჩაბაძე გაგრა სახელწოდებას გაგრიფშიდან წარმოშობილად მიიჩნევდა, სადაც გაკ (კაკ) საკუთარი სახელია, — რო კუთვნილების აფიქსი, ხოლო -ფშ — მოცემულ შემთხვევაში „თემის მნიშვნელობაზე“ მიგვანიშნებს [55.265]. აფხაზების წინაპარი, ერთ-ერთი თემის წინამდლოლის საკუთარ სახელს უკავშირებდნენ გაგ-ძირს შ. ინალ-იფა [70.114-115] და ხ. ბლაუბაც [59.260]. -რა მატოპონიმებელი აფიქსი იყო, ხოლო -ფშ (აფხაზურად და აბაზურად — „სოფელი“, „თემი“, „წმინდა“ ან „ამალებული“ ადგილი) მათი აზრით, იგი გაგ-ს შეა საუკუნეებში უნდა დამატებოდა. ჩვენი ვარაუდითაც, -ფშ სუფიქსი გაგრას მართლაც მოგვიანებით უნდა დამატებოდა, მაშინ როდესაც ჩრდილო კავკასიაში საერთო დასავლეთკავკასიური წარმოშობის ხალხის დიფერენციაცია უკვე მომხდარი ფაქტი იყო და სხვა ადილეური ხალხების გვერდით უბისხების ეთნიკური ჯგუფი და მათი ენაც ჩამოყალიბებული იყო. გაგრიფშ ორი ენის ქართულისა და უბისურის ფუქტა შერწყმის შედეგად უნდა შექმნილიყო. -ფშ სუფიქსი მხოლოდ უბისურ ენაზე აიხსნება, როგორც ამალებული ადგილი, გორი [89.27-28, 32]. ამრიგად, გაგრიფშ ფორმა ვერ გახდებოდა გაგრა ტოპონიმის წარმოშობის საფუძველი. რაც შეეხება გაგ-ის გვარსახელობას, ცნობილია რომ „აფხაზურში გაგ-ძირი არც პიროვნულ და არც სატომო სახელად არ დასტურდება [9.89]. ვ. ფაჩულიას ვარაუდითაც -რი-ფშ ელემენტი (გვაროვნული თემი, ფეოდალურ ხანაში — საუფლისნული მამული) ტოპონიმის ძირის, „უძველესი აფხაზური გვარის“ (გაგა) გვანდელი დანამატია [83.23]. გასარკვევია მხოლოდ მისი „უძველესი აფხაზური გვარი“ რომელ ეპოქას მიეკუთვნება, რადგანაც ცნობილია, რომ აფხაზეთან დაკავშირებული პირველი გვარსახელი (და ისიც ქართული წარმოშობის) — შერვაშიძე „ქართლის ცხოვრებაში“ მხოლოდ XIII საუკუნეში ჩნდება, ფეოდალური გვარსახელების ნანილი XVI-XVII საუკუნეებიდან, ხოლო აფხაზური გლეხური გვარები XVIII-XIX საუკუნეებში.

ქართველ მეცნიერებს გაგრა სახელის ამოსავლად XIV საუკუნის გაგრის ხეობის მონასტრის ქართულ წარწერაში მოცემული „გაგარი“ ფორმა მიაჩნიათ. გაგარი < გაგარენი პ. ინგოროვყავამ ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა ჯგუფს მიაკუთვნა, რადგანაც მას ქართულისათვის დამახასიათებელი -არ სუფიქსი ერთვოდა (შდრ.: ხიდარი, ქინდარი, გომარი და სხვ.). რაც შეეხება -ფშ (წყალი, მდინარე), მისი აზრით, იგი ქ. გაგრიდან ერთ კილომეტრზე არსებული მდინარის გამო უნდა დამატებოდა [20.149-150].

თ. ბერაძე ფიქრობს, რომ „გაგარი“ ჩვეულებრივად გასასვლელის, „კარიბჭის“ მნიშვნელობით უნდა ყოფილიყო ცნობილი. სწორედ ამიტომაა გვიან-შუასაუკუნეებში თურქულ რუკაზე იგი „დერბენტის“ სახელით მითითებული [3.122]. იტალიურ რუკებზე დადასტურებული „კაკარი“ ზოგიერთ მეცნიერს ქართული კარისაგან წარმოებ სახელად მიაჩნდათ. გაგრის ვიწროები, მათი ვარაუდით, ნამდვილი „კართა კარი“ იყო, რომელიც ჩრდილოეთი-დან წამოსულ მტერს უნდა დაეძლია [5.77].

არსებობს ტოპონიმ გაგრის (გაგარის) ეტიმოლოგიური ახსნის სხვა მცდელობაც. სამეგრელოში მოპოვებული ტოპონიმიური მასალის გათვალისწინებით დ. ლეთოდიანის ვარაუდით, გაგ და გა ძირი დასტურდება ჩხოროწყუსა და ნალენჯიხის რაიონების მასალით. შესაძლებელია გაგრა ტოპონიმში ეს ძირი, შემოღებული გორაკ-ბორცვიანი ადგილის მნიშვნელობით იქნა გამოყენებული [23.73-74]. სვანური ენის ლექსიკის გამოყენებით გაგრის სემანტიკური ახსნა მოგვცათ. მიმჩურანმა გაგ//გაკ- < გაკ//კაკ (კაკლოვანი, ნიგვზნარი) [30.272], აქედან არ ხ სვანურში მრავლობითი რიცხვის სუფიქსია [16.163]. ქ. გაგრასა და მის გარშემო ტერიტორიაზე უძველესი დროიდან გავრცელებულია სხვადასხვა სახელის კაკლის ხეები. შედეგად ამ მხარეში ხშირად გვხვდება ისეთი მიკროტოპონიმებიც, როგორიცაა „კაკლოვანი“ // „კაკლიანი“ // „ნიგვზნარი“. თ. გვანცელაძის თანახმად XIV საუკუნის 80-90-იანი წლების ქართულ წარწერაში მოხსენიებული ამ ტოპონიმის ძეველი ფორმა — გაგარი, იმავე საუკუნის იტალიურ რუკებზე, გადატანილია კაკარი//ხაკარი//კაკარა ვარიანტებით. უცხოურ რუკებზე ფიქრებული კაკარ-ი-ს ბოლოკიდური -ი (სახ. ბრ. ნიმანი) ხმოვნის არსებობა აშკარად მიაჩნიებს ამ სახელის ქართველურობაზე. ვარიანტების ერთმანეთთან შედარება წამოჭრის საკითხს, თუ რომელია უფრო ძველი -გ თუ -კ თანხმოვანი, რაშიაც აფხაზური ენა ვერავითარ დამარებას ვერ გავინევს, რადგანაც მას სამწერლობო-სალიტერატურო ტრადიცია არ გააჩნია და არც ეტიმოლოგის დასადგენ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს. გაგ-ძირი ამ ენაზე არაფერს არ აღნიშნავს [9.90]. ამგვარად, ლინგვისტური დასაბუთებით გაგრა//გაგარი//გაკარი//გაკარა // ხოკარი < სვანური გაგრა//კაკრადან (კაკალი) [10.52]. პოლისონიმის ახსნის ასეთი ვარაუდი გაზიარებულია სხვა მეცნიერებათა მიერაცხვით [7.98]. თუ გავითვალისწინებთ ისტორიის მონაცემებს ამ მხარეში, ძველად, სვანური მოსახლეობის უფრო ფართოდ გავრცელების თაობაზე, როდესაც მათი ტერიტორია ბარსაც მოიცავდა და ზღვასთან ახლოსაც გადიოდა — ცხუმიდან შახემდე (ტუაფსე) [29.65-67; 67.68-69; 81.117], აქ ცალკეული სვანური ტოპონიმების გავრცელება ვანონ-ზომიერად უნდა ჩაითვალოს. ამრიგად, სრული საუკუნეების მტკი-

ცეპისათვის, რომ აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ მხარის ყველაზე განაპირობა ქალაქის სახელნოდება გავრა ქართველური წარმოშობისაა. ამდენად, ამ ადგილებში ქართველურ მოსახლეობას ადრიდანვე რომ არ ეცხოვრა, ეს სახელნოდება არ გაჩნდებოდა.

ბიჭვინთა — აფხაზეთის მეორე მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრი. მდებარეობს გაგრის რაიონში, შავი ზღვის სანაპიროზე. ბიჭვინთა//პიცუნდა თავიდან დიდი რელიგიური ცენტრიც იყო. *Pityus, Pityunta* (ბერძნ. οὐκέτι) ფორმით ფიქსირებულია ორმაულ-ბიზანტიურ წერილობით ნარკობში. ბერძნულში ფიჭვინთა, ფიჭვი, ფიჭვნარი პირველად იხსენიება ძვ. წელთაღრიცხვის II-I საუკუნეებში [20.147; 2. 30-41; 27.11]. გარდა ამისა, იგი მოხსენიებულია არტემიდორე ეფესელთან (ძვ. წ. აღ. II-I ს. ს.), პლინიუს უფროსთან, სტრაბონთან, არიანესთან, ადრეული საშუალო საუკუნეების ავტორებთან — ამიანე მარცელინესთან, თეოდორიტე კვირელთან, V საუკუნის ანონიმ გეოგრაფოსთან, ზოსიმესთან, პროკოპი კესარიელთან, თეოფანე ბიზანტიელთან [17.8-9; 81. 115]. რადგანაც ბიჭვინთა სკილაქს კარიანდელთან არ იხსენიება, გ. მელიქიშვილი მას ძველი ნელთაღრიცხვის IV ს. შემდგომ ხანას მიაკუთვნებს [28.404]. „*Pityunta*“ ფორმა სწორედ ქართული სახელნოდების სახენაცვალი სახეობაა [20.147-148]. იგი მიღებულია ქართული წინვოვანი მცენარის ფიჭვის ძველი ფორმიდან ბიჭვი < ფიჭვი. ამ ქალაქის ახლო-მახლო ტერიტორიაზე და ქალაქში გავრცელებული იყო ფიჭვნარი. წინაძლობლივა, რომ ტოპონიმი „ფიჭვნარი“ დღემდე შემორჩი საქართველოს შავიზღვისპირეთის სხვა პუნქტებსაც, მაგ.: ქობულეთის გარეუბანს, სადაც გამოვლენილია ანტიკური ხანის (ძვ. წ. აღ. V-II ს. ს.) მნიშვნელოვანი საქალაქო ტიპის დასახლება [27.17]. პლინიუსის ცნობით, მდიდარი ქალაქი პიტიუნტი I საუკუნეში ჰენიონების მიერ გაძარცულა. მაგრამ იგი III საუკუნეში კვლავ აღორძინებულა. განსხლებულ ციხე-სიმაგრეში რომაელების რაზმი ჩამდგარა [28.539, 549; 25. 24, 32, 41]. კარტოგრაფიულ წყაროებში პირველად ეს ტოპონიმი *Rezonda* ფორმით დასტურდება XIII საუკუნის ვენეციურ რუკაზე [62.820-822].

სახელნოდების ფიჭვინთა → ბიჭვინთას ქართულ წარმოშობაზე ლაპარაკობენ დიუბუა დე მონპერე [66.112], კ. კუდრიავცევი [74.47], კ. ჰანი [63.26] და სხვ., რომელთა ვარაუდი ემთხვევა ქართველი მეცნიერების ვარაუდს, რომ ქართულ ბიჭვს უნდა მოეცა ბერძნული სახელნოდება — პიტიუს-პიტიუნტი. განსხვავებული აზრი გამოოქვაზ. ანჩაბაძემ, რომელიც მდ. აბასერისამდე (მდ. ბზიფი [53]) მცხოვრებ ტომებს — სანიგებს, ჰენიონებს და აფსილებს, განურჩევლად აფხაზების წინაპარ ტომებად თვლიდა, ხოლო ქ. პიტიუნტ-პიცუნდას მათ ქალაქად მოიაზრებდა. სახ-

ელნოდების ამოსავლად ბერძნული ტოპონიმი (იგივე ფიჭვი) მიაჩნდა, რომელიც მისი აზრით, მოგვიანებით უნდა ეთარგმნათ ქართულად. ქალაქის დაარსებას იგი ქვეყნის შიდა კოლონიზაციის მიაწერდა და მას უმეტესად ქ. დიოსკურიის მოსახლეობის ხარჯზე აღმოცენებულად თვლიდა [56.148-149]. ქალაქი ბერძნულ ახალშენად, ხოლო მისი სახელნოდება აფხაზური ამზადან წარმოშობილად მიაჩნდათ აფხაზ მეცნიერებს (შ. ინალ-იუ...), მათი აზრით, ქალაქის სახელნოდება სწორედ აფხაზური ამზადან (ფიჭვიდან) უნდა ეთარგმნათ ბერძნულ ენაზე. თ. გვანცელაძის აზრით, „ამზა ფორმის გამოყენება ხელოვნურია, რადგანაც 325 ნ. ნიკეის საეკლესიო კრების სიაში მითითებულია „ფიტუნთა“. ამ ფორმიდან კი ყურადღებას პირველი ფ-ბერა იპყრობს, რითაც იგი ფიჭვის ქართულ წარმოთქმას უახლოვდება [10.50-51]. გ. გასვიანის ვარაუდით, ბიჭვინთის (< ფიჭვინთის) ქართულ წარმომავლობაზე უნდა მიუთითებდეს ისიც, რომ ამ სახელნოდებას არაერთი ორეული მოებოვება საქართველოს ტერიტორიაზე, მაგ.: ფიჭვიანი (თიანეთის რ-ში); ფიჭვიანი (დუშეთის რ-ში); ფიჭვიგინა (ზნაურის რ-ში) და სხვ. [7.108]. წყაროების განხილვის საფუძველზე ს. ყაუხებიშვილმა და ა. აფაქიძემ გამორიცხეს პიტიუნტში ბერძნული ახალშენის არსებობის საფუძველი და დაისვა საკითხი ამ თეორიის გადასინჯვის შესახებ. ნ. ლომოურის აზრით, ბიჭვინთის მითვლა ე. ნ. ბერძნული კოლონიებისადმი ნამდვილ გაუგებრობაზე დამყარებული, რადგანაც ბიჭვინთა ძველ წყაროებში ბერძნულ ახალშენად არ არის დასახელებული [25.119]. არქეოლოგიური მასალის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ქ. ბიჭვინთა უმეტესად ადგილობრივი მოსახლეობისა და ბერძნული ელემენტის ურთიერთობის შედეგადაა ჩამოყალიბებული, მათ ხანგრძლივ და მჭიდრო კონტაქტებს თავისებური დალი უნდა დაესვათ ქალაქის ეთნიკურ შემადგენლობაზე [68.128, 203]. მიუხედავად ზემოთქმულისა, აფხაზი და ზოგი სხვა მეცნიერი ტერიტორიულ გზამკვლევარებსა თუ სხვაგან განაგრძობდნენ ქალაქის ბერძნულ ახალშენად მოხსენიებას (მაგ.: კ. ფაჩულია, კ. სიტინავა, კ. პეტკოვი და სხვ.).

ამრიგად, ბიჭვინთა ელინისტურ ხანაში დიდი სავაჭრო ცენტრი იყო, მაგრამ მეზობლად, მთებში მომთაბარე, მეკობრე ტომების ყაჩაღური საქმიანობის გამო ძვ. ნ. აღ. I საუკუნეში დაცუა და დაცარიელდა. მაშინ, როდესაც ჩრდილო კავკასიიდან ადილეური ტომების (ჯიქების) ჩამოსახლება სწორედ ბიჭვინთის ჩრდილო-დასავლეთით ხდებოდა. თუმცა, საქალაქო ცხოვრების ხელახალი გამოცოცხლება და მძლავრი აღმავლობა ბიჭვინთაში ახალი ნელთაღრიცხვის I-II საუკუნეებიდან კვლავ განახლდა [18.131, 137-139, 140-141].

VI საუკუნის ისტორიული პროცესი კესარიელის გადმოცემით, პიტიუნტი სანიგების მინა-წყალზეა განთავსებული, თუმცა ამავე დროს იგი იმასაც აღნიშნავდა, რომ იმპერატორმა იუსტინიანემ აქ აბაზგებს ეკლესია აუშენა და ქრისტიანული რწმენა მიაღებინა [36.135]. აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, ქართველური მოსახლეობის კუთვნილ ქალაქში და მათ გვერდით მიგრაციის გზით შემოჭრილი მოსახლეობა — აბაზგები ჩნდება. თუმცა, ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ ელინისტურ ხანაში, როდესაც ამ ტერიტორიაზე აბაზგების კვალიც არ არსებობდა [18.131-139], ქალაქი სავაჭრო ცენტრად უკვე იყო ქცეული და სახელწოდებაც დამკვიდრებული ჰქონდა.

ამდენად, აფხაზეთის მეორე პოლისონიმიც ქართველური წარმოშობისაა და ქართველური მოსახლეობის ოდიოგანვე ამ რეგიონში ცხოვრებაზე მიანიშნება.

სოხუმი — ძველთაგანვე აფხაზეთის ქალაქი. მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე სოხუმის ყურეში. ქალაქი თავიდანვე სანარმოო და სავაჭრო ცენტრი იყო. იგი დასტურდება როგორც ქართულ, ისე უცხოურ ნერილობით და კართოგრაფიულ წყაროებში. მისი უძველესი სახელწოდებაა „დიონისურია“. თავდაპირველად ამ ტოპონიმს უკავშირებდნენ ბერძნულ მითოლოგიაში ცნობილი ტყუპი ძმების (ზევსისა და ლედას ვაჟების) კასტორისა და პოლიდევეეს შესახებ არსებულ ლეგენდას. თუმცა, რადგანაც ძველ წყაროებში ფიქსირებული ბერძნული სახელწოდებები უმეტესად ქართული საკუთარი სახელების თარგმანს წარმოადგენდნენ, ამიტომ ბევრი მეცნიერი თავიდანვე იზიარებდა იმ აზრს, რომ ამ შემთხვევაშიც ასეთივე მოვლენასთან უნდა გვქონდა საქმე. ამას ადასტურებს დასავლეთ საქართველოს მთელს ტერიტორიაზე გაფანტული ტოპონიმები, რომლებიც სკურ- ძირს იყენებენ. მაგ.: სოფ. სკურია (ხობის რ-ში), სოფ. სკური (წალენჯიხის რ-ში), სკურ-დიდი (ქ. ბათუმთან), სკურდი (სენაკის რ-ში) და სხვ. [20.146-147]. სკური მეგრულში გვხვდება წყლის, უმეტესად მინერალურის ალანიშნავად. შდრ.: სკურჩა [42.608]. სკუ- ელემენტს ქართველურ ენგბში კანონზომიერ შესატყვიის გააჩნია — ქართ.: სკუ-სკ-სკ, მეგრ.: სკუ-სკვ-სკ, სკუ-სქ-, ლაზ.: სკვ-, სვან.: სკუ [40.405-406]. ლ. სოლოვოვიც ვარაუდობდა, რომ „სკური“, „სკურჩა“ ძველ მეგრულში „წყარის“ (წყალი) ფორმა იყო, ხოლო, „დიო“ მეგრული „დიდა“ (დედა) ან სკანური „დია“ (დედა)-დან იყო მიღებული. იგი ითვალისწინებდა იმ ფაქტს, რომ ქალაქი მდ. სკურჩაზე იყო გაშენებული, ხოლო ამ ქალაქში უძველესი დროიდან ქართველური მოსახლეობა ცხოვრობდა. ე. ი. დია + სკური წყლის დედა (დედა მდინარე) უნდა ყოფილიყო [85.116-117]. დიოსკურიის ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრების შე-

დეგებმა წარმოშვა ვარაუდი, რომ ძველი ქალაქის უდიდესი ნაწილი სოხუმის ყურეში, ზღვის ფსკერზეა ჩაძირული.

თ. მიქელაძის მოსაზრებაზე დაყრდნობით ზოგიერთი მეცნიერი ამ ტოპონიმს სვანურ ლექსემად მიიჩნევს. სვანური „სკური“, ჯდომას, საუფლოს ნიშავს, „დიასკური“ კი დედეს საბრძანებელი, დედაქალაქი უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე იგი ქართულ წარმართულ ლვთაებას „დაგილის დედას“ დაუკავშირეს [31.14]. ჩვენი ვარაუდით, იმ თვალსაზრისს, რომ ძველ მეგრულში მართლაც შესაძლებელია მდინარის, წყლის აღმიშვნელად „სკური“ გვევლინებოდა, უფრო მყარი საფუძველი გააჩნია. მითუმეტე, რომ ამას რამდენადმე მართლაც მხარს უჭრის სქური//სკურის წყლის მინიშვნელობით დასავლეთ საქართველოში გავრცელება. მაგ.: სკური//სკურდი (წყალი, სოფლ. გაჭედილის საკუ.), სკურდლალი (ლელე, სოფ. ცურძების საკუ.), სკურჭემისა//სკურჭემია (ლელე, სოფ. თამაკონში), ოლას-ეურია (მდინარე რიონის მარჯვენა შენაკადი), სკურდულა (მდ. ხანისწყლის მარცხენა შენაკადი), სკურდიდი (ლელე, სოფ. გურძემის საკუ.), გელენსკური (მდ. სულორის მარცხენა შენაკადი) და სხვ. აქედან გამომდინარე გამორიცხული არ უნდა იყოს ქ. დიოსკურიის უძველეს სახლსაც მეგრული ლექსემა დასდებოდა საფუძვლად. შესაძლებელია ტოპონიმის ბერძნული ენის წარკვეული გარეგნული გავლენა განეცადა.

დიოსკურია რომ ქართველური წარმოშობის პროლისონიმია სჩანს იქიდანაც, რომ სპეციალისტების აზრით აյ ადრეანტიკურ და ელინისტურ ხასიათი უმეტესად ადგილობრივი, დასავლელურ ქართველური წარმოშობის მოსახლეობა ცხოვრობდა. მათ სამოსახლოდ სანაპიროდან დაცილებული, გორების ზოლი ეჭირათ (სოხუმის მთა, მთა გუად-იხუ და ა. შ.), სადაც მოსახლეობა არსებობდა ჯერ კიდევ გვიან ბრინჯაოს და ადრე რკინის ხანიდან [19.203]. როგორც ჩანს, სანამ დიოსკურიაში ბერძნები მოვიდოდნენ, ადგილობრივ მოსახლეობას უკვე გავლილი ჰქონდა განვითარების გრძელი გზა და მზად იყო ქალაქური ცხოვრებისათვის [19.143]. ანტიკურ ხანაში, ქელი ნელთაღრიცხვის V-ს საუკუნეებში ქ. დიოსკურიის მიმდებარე მთებზე — სოხუმისა და გუადიხუზე და სხვ. დადასტურებულ მოსახლეობაში მ. ტრაფში [87.88], ზ. ანჩაბაძე [56.143], შ. ინალ-ივა [71.193-211] და სხვ. აფხაზურ მოსახლეობას ხედავენ, თუმცა წყაროებიდან გამომდინარე კოლხეთის სამეფოს არსებობის ხანაში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე । ათასნლეულში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზების ნინაპარი ტომები არ ჩანს. დიოსკურია და მისი მიმდებარე ზოლი დასახლებული იყო ქართველური ტომებით, რომელთაც აქ პოლიტიკურად და ეთნიკურად წამყალი როლი ენიჭებოდათ [6.431; 29.65-68; 67.62-63; 81.117-119]. ადგილობ-

რივი მოსახლეობისა და პერძნული ელემენტის ხანგრძლივია ურთიერთობამ, მათმა მჭიდრო კონტაქტმა თავისებური დაღი დაასვა ქალაქ დიოსკურიის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას [68.203].

ქ. დიოსკურიის ძველი წელთაღრიცხვის II-ი საუკუნეებამდე იარსება და შემდეგ მთლიანად დაცარიელდა, თუმცა სამაგიეროდ იმავე ადგილზე ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნეში საქალაქო ცხოვრების ხელახალი გამოცოცხლება და ახალი მძღავრი აღმავლობა დაიწყო. აღნიშნული ხანიდან აქ რომაელებმა ციხე-სიმაგრე ააგეს და მას სეპასტოპოლისი უწოდეს. ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნის ნახევრიდან სეპასტოპოლისის ნარმოქმნას დიოსკურიის ადგილს ადასტურებენ, როგორც ფლავიუს არიანე, ისე პლინიუსიც [18.137-142; 69.239; 81.120]. სახელწოდება „სეპასტოპოლის“ დავავშირებული იყო რომის იმპერატორის ბატონობასთან, რაც ნიშნავდა სეპასტოის ანუ ავგუსტეს ქალაქს [68.203]. არქეოლოგიური მასალებიდან ირკვევა, რომ სეპასტოპოლისის ტერიტორია ელინისტური ხანის დიოსკურიის ფარგლებს მთლიანად არ ფარავდა. მის საზღვრებს გარეთ რჩებოდა დღევანდელი სოხუმის მთა, გუადიხუ და სხვ., როგორიც ადრეელინისტურ ხანაში საუთრივ დიოსკურიის ტერიტორიას შეადგენდნენ. სეპასტოპოლისში ქართველური მოსახლეობა ცხოვრობდა [28.544-549].

ამრიგად, როგორც დიოსკურიის, ასევე სეპასტოპოლისის დაფუძნება და სახელწოდების ნარმოშობა წინ უსწრებდა აფხაზების წინაპარი ტომების აქ ჩამოსახლებას. VI ს. დასაწყისში ქალაქი ბიზანტიის ბატონობას დაემორჩილა. ირან-ბიზანტიის ომის (542 წ.) დროს, ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე I სეპასტოპოლისის ციხე-სიმაგრე დაარღვია და ჯარები გაიყვანა ქალაქიდან, მანვე 565 წ. კვლავ აღადგინა ქალაქიცა და ციხეც [44.502].

კარტოგრაფიულ წყაროებში სოხუმი დადასტურებულია XIII საუკუნის ვენეციურ რუკაზე სახელწოდებით Seuastopolis ფორმით [62.821-822]. 1318 წ. პ. ვესკონტეს შავი ზღვის რუკაზეც იგი დატანილია, როგორც Savastopolis [61].

სეპასტოპოლის ადგილობრივი სახელწოდება იყო ცხუმი, რომელიც დადასტურებულია ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში VIII საუკუნიდან (ჯუანშერის მატიანეში) და ამ სახით გვხვდება იგი მთელ საშუალო საუკუნეთა მანძილზე [20.147]. სოხუმის ახლოს, კავკასიის ქედის მთებში, რომელიც დიოსკურიადას გადმოცყურებდნენ, სტრაბონის მიხედვით ერთ-ერთი ქართველური ტომი სვანები ცხოვრობდნენ. სვანეთის ტერიტორია იმ დროისათვის უფრო ფართო ყოფილა, იგი მოცავდა დღევანდელი აფხაზეთის აღმოსავლეთ მთიან მხარეს და პირველყოფლისა მდ. კოდორის სათავეებს. როგორც ჩანს, ისინი ზღვაზეც გადიოდნენ. [29.50, 65; 6.431; 81.117].

ამიტომაც ბუნებრივია, რომ ქალაქის უძველეს ქართულ სახელწოდებას სეანური ნარმოშობის საკუთარ სახელს უკავშირებენ. ქართველური ენიდან გამომდინარე სოხუმი//სუხუმის ამოსავალია სვანური *ცხუმ = რცხილა, ეს მოსაზრება მ. ქალაქის სახელი ფორმით „ცხუმი“ გამოიყენებოდა XIX საუკუნის შუა წლებამდე. არაბულ და თურქულ წყაროებში „ცხუმ“ ფორმის ნაცვლად გვხვდება მისი ვარიანტები — სუხუმუ და სუხუმ [9.88]. თურქული ენა სიტყვის დასაწყისში თანხმოვანთა თავმოყრას ვერ გუოს და არც „ც“ აფრიკატი მოეპოვება. ამიტომ „ცხუმ“ „სუხუმად“ იცვლის სახეს, რომელიც მევიდრდება [50.117]. ქართული ნარმოშობის „ცხუმს“ კანონზომიერი მეგრულ-ჭანური შიშინა შესატყვისები მოეპოვება. ამავე დროს, მისი ქართულობის დამადასტურებელია ამ სახელწოდებაში ჩვეულებრივი ცხ კომპლექსის არსებობა, რაც აფხაზურისათვის არ არის დამახასიათებელი [24]. ცხონი//ცხუმში სემანტიკური, ეტიოლოგიური და ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, სახელდების პრინციპები საერთო ქართველურია. მოჭივაციის საფუძველია ამ ადგილებში „რცხილის“ არსებობა. მაგ.: ქართული ცხემლოვანი, ცხინვალი, ცხმორისი. მეგრ. ცხემურინი, ცხიმურონი, ცხემურეში. ჭან. ცხემურეფუნა. სვან. ცხუმელირ, ცხუმალდ, ცხემბრ, ლეცხეტმერ. სემანიკურ და ეტიმოლოგიურ საუკუნეებს, როგორც ახალი, ისე ძველი ფორმებისათვის ნარმოადგენს ძველ ქართული გეო-ბოტანიკური ტერმინი ქრცხემლ- ან ქრცხილ-. ტოპონიმიკურ დონეზე საერთო სვანურისათვის ამოსავალი იქნება *ცხუმ. [47.199, 201]. გ. გასვიანი [8.206] და თ. მიბჩუანი [31.14] სოხუმის სვანურ „ცხუმიდან“ ნარმომავლობას იზიარებენ. სვანეთში დღესაც არის სოფელი ცხუმარ რაც რცხილანარ ადგილს აღნიშნავს.

განსხვავებული აზრი გამოთქვა კ. ჰანმა, რომელმაც სოხუმი დაუკავშირა აფხაზურ სა-გუმ-ს, რომელიც, მისი ვარაუდით, „აფხაზურ ქვეყანას“ აღნიშნავს და რომელიც მდებარეობდა მდ. გუმზე (გუმისთა). ამ ქალაქის აფხაზურ სახელწოდებაში — Aky, Akya (აყა), Kya აფხაზურად სანაპიროს აღნიშნავს, რომელიც დაფარულია ქვებით [63.132]. როგორც ჩანს, კ. ჰანის ვარაუდი გადაუმოწმებელ, ზეპირ თარგმანს ეყრდნობა, რადგანაც აფხაზურად „აფხაზური ქვეყანა“ ითარგმნება როგორც — აფსუატიგელა „ხოლო აყა რომელსაც აფხაზები მეტყველებაში ხმარობენ ქ. სოხუმის მიმართ, ღიტერატურულ წყაროებში არ დასტურდება. ეს ლექსიკური ერთეული პრადიდეურია. მას ორმაგი მნიშვნელობა აქვს. ერთია: „ლელე“, „ხევი“, „ხეობა“, რაც დღეს ყაბარდოული ენაკავისათვის არის დამახასიათებელი და სწორედ ყაბარდოულ ტერიტორიაზეა ამ ელემენტიანი ტოპო-

ნიმები გავრცელებული (მაგ.: *Деменюк* — დომანგუსტა, *Фануко* — ფანდგუსტა და სხვ.) [50.121], მეორე, ჩერქეზული ენისათვის — „დამყაყებული წყალი“. გეოგრაფიულ ობიექტთა სახელწოდების, ახალი ობიექტების აღსანიშნავად გადატანა მიგრანტთა პრაქტიკაში, ჩვეულებრივი მოვლენა უნდა იყოს. ამრიგად, საფიქრებელია, რომ „აყია ჩრდილოეთიდან გადმოეტანათ შუასაუკუნეებში“ [52] აფხაზეთის ტერიტორიაზე. კასტელის ცნობაზე დაყრდნობით თ. გვანცელაძე ვარაუდობს, რომ „აყუ“ (აყია) გვიანდელი სოხუმი უნდა იყოს, რადგანაც შუასაუკუნეების ქ. ცხუმი მდ. ბესლეთის მარცხენა ნაპირზე, მდ. ბესლეთსა და მდ. კერასურს შორის მდებარეობდა, ხოლო გვიანდელი სოხუმი — მდ. ბესლეთის მარჯვენა ნაპირზე, შესართავიდან „თურქულ“ ციხე-სიმაგრემდე ივარაუდებოდა [11.56]. შ. ინალ-იფა აყიას სოხუმზე ადრე აფხაზებში „უხსოვარი დროიდან“ გავრცელებულ ტოპონიმად მიიჩნევდა, თუმცა, სოხუმის აფხაზურად ახსნის სხვა მოსაზრებასაც გვთავაზობს, თითქოს: „უძველესი აფხაზური მინის“ სახელწოდება — სოხუმი ასევე „უძველესი აფხაზური გვარის“ *Самаххъяа (Самата-ахы)*-საგან უნდა ნარმოქმნილიყო, რომელიც ადრეულ ეპოქაში ადგილობრივი ტოპონიმი უნდა ყოფილიყო [70.110-111, 398]. გ. შაკირბაიასა [90.171-177] და ვ. კვარჭიას [72.17] აზრითაც აყია ძველაზაზური პოლისონიმია (III-II ს. ს. ძველი ნელთაღრიცხვის), რომელიც ბიზანტიილი კეისრის სახესთან ერთად ამოტვიფრული ყოფილა კოლხურ სტარტერზე. ჯერ ერთი, ეს აზრი არადამაჯერებლად გამოიყურება, რადგანაც ძ. ნელთაღრიცხვის III-II ს. ს. აფხაზები, უძველეს წყაროებში საერთოდ არ იხსენიებიან არც კოლხეთისა და არც სხვა მომიჯნავე ტერიტორიაზე. მეორე — სპეციალისტების აზრით, კოლხურ სტარტერზე კეისრის სახესთან ერთად ამოტვიფრულია მისი საკუთარი სახელი (აკა), რაც უფრო დამაჯერებელია. თ. გვანცელაძის აზრით, „აყია“ პირველად ჯაერთ გასტალდის 1561 ნ. რუკაზე დასტურდება, მხოლოდ არა შავი ზღვის ნაპირას, არამედ მდ. ყუბანის აუზში, რაც საყურადღებოა და პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ აფხაზები სოხუმში საუკუნეების მანძილზე არ ცხოვრობდნენ [9.88].

სოხუმი რომ ქართველური მოსახლეობის ქალაქი იყო და მათ მინაზე მდებარეობდა, მონაბეჭდის ფლავიუს არიანესა და პტოლომეოსის ცნობები, რომელთა მიხედვითაც ახ. ნ. II ს-ში ქ. სებასტოპოლისი სანიგების მინაზე, ხოლო ამავე საუკუნის რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ლაზთა ტერიტორიაზე იყო [33.83, 86]. აქედან გამომდინარე ახალი ნელთაღრიცხვის II საუკუნეში სებასტოპოლი იმყოფებოდა ჯერ სვანებით და მოგვიანებით

ლაზებით დასახლებულ ტერიტორიაზე. ნ. ბერძენიშვილი ამავე წყაროებზე დაყრდნობით, სვანებს დიოსკურიის მკვიდრ ტომად მიიჩნევდა და „ცხუმი“ ტოპონიმის ნარმოქმნაში მათ მონანილეობას ადასტურებდა [6.431]. ამრიგად, არავითარი საფუძველი არ არსებობს ეჭვი შევიტანოთ „ცხუმი“ ტოპონიმის ქართველურობაში. ამ პოლისონიმის აფხაზური ნარმობა არც ეტიმოლოგიურად და არც ფონეტიკური კანონზომიერებით არ მტკიცდება. არც ძველ ბერძნულ, რომაულ თუ ძველ ქართულ წყაროებში „სალუმ“//„საგუმ“ და „სამაახუა“ ტერმინები და მითუმეტეს გვარები ფიქსირებული არასოდეს ყოფილა. მართალია, უფრო მოგვიანებით, IV-V ს. ს. მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილების გამო სებასტოპოლისი-ცხუმი აფშილეთის ტერიტორიაზე იგულისხმება, რასაც ქართული წყაროც მონმობს [33.119; 34], მაგრამ აფშილები თანამედროვე აფხაზების წინაპრებიც რომ ყოფილიყონენ, ამას ქალაქის სახელწოდებისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგანაც იგი უკვე ამ დროისათის არსებობდა.

სოხუმი, უფრო გვიან, შუასაუკუნეებშიც ქართველებით იყო დასახლებული, რაც ჩანს 1330 ნ. სებასტოპოლელი კათოლიკე ეპისკოპოსის მიერ ექიტერბერიელ არქიეპისკოპოსისადმი მინერილ ნერილში. მისი აღწერილი ბით ამ ქალაქში „ცხოვრობდნენ ქართველები და არა ნარჩინებულნი, არამედ დარიბი ქართველები“ [22]. არაბი ისტორიკოსის აბულ-ფედის (XIV ს.) გადმოცემითაც სოხუმი ნარმოადგენდა „ქურჯების“ ე. ი. ქართველების ქალაქს [51.138-139]. პირველად აფხაზების ამ ქალაქში გამოჩენას XV საუკუნის შუა ხანას უკავშირებენ. ამას ადასტურებს გენუელი კონსულის, ჯერადი პინელის ცნობა, რომლის თანახმადაც 1455 ნ. 28 ივნისს სებასტოპოლის (ცხუმის) მოულობდნელად თავს დასხმიან ავოგაზები (აფხაზები). რომელთა შიშითაც, ადგილობრივი მოსახლეობა აყრილა და სასწრაფოდ გაქცეულა [10, 53].

ამრიგად, ზემოთქმულიდან კარგად ჩანს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ქალაქი სოხუმი დაარსებულია აფხაზების გამოჩენამდე და თვით სახელწოდება ქართველურ, კერძოდ სვანურ ენასთანა და კავშირებული.

ანაკოფია — მდებარეობს ახლანდელი ახალი ათონის (ფსირცხის) ტერიტორიაზე გუდაუთის რაიონში. იგი VII-VIII საუკუნეებში ფეოდალური საზოგადოების ურთიერთობის განვითარების შედეგად აბაზთა საერისთაოს პოლიტიკური ცენტრი ხდება. მოიხსენიება ძველ ქართულ წყაროებში [20.151]. პროკოპი კესარიელის ცნობიდან გამომდინარე ციხე-სიმაგრე ტრაქეა (ანაკოფის უძველესი და თავდაპირველი სახელი) მდებარეობდა ზღვის პირას, მთაზე „აფსილიის საზღვრებს შემდეგ აბაზგის შესავალში“ [33.119]. აფხაზეთის ამ უძველეს სატახტო ქალაქს „ივერიის

მთის" მთელი მნვერვალი ეკავა, რომელიც თითქმის ყოველი მხრიდან მიუვალი იყო [5.31]. ლეონ II-ის მიერ დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისა და დედაქალაქიდ ქ. ქუთაისის გამოცხადების შემდგომაც ანაკოფიას მნიშვნელობა არ დაუკარგავს. „ციხე ანაკოფიაში“ „მიიცვალნეს მირ და არჩილ მეფენი ქართლისანი“ [6.575]. „მატიანე ქართლისაღს“ ცნობით, როდესაც გიორგი I გარდაიცვალა, მას ოვსთა მეფის ასულისაგან ძე დარჩა, რომლსაც დემეტრე ერქვა სახელად (ბაგრატ IV-ის ნახევარძმა). დემეტრე და დედამისი გიორგის გარდაცვალების შემდგევაც ანაკოფიის ციხეში ცხოვრობდნენ, სანამ მათ 1032 წ. ანაკოფია ბიზანტიის კეისარს არ გადასცეს. თუმცა, ანაკოფია 1046 წ. ბაგრატმა კვლავ დაიბრუნა და იქ ქუაბულელ ჭაჭას ძე უთაღო დატოვა [48.144]. როგორც ვხედავთ, ანაკოფია მართალია აბაზგთა საერისთაოს პოლიტიკური ცენტრი იყო, მაგრამ დამოუკიდებელი არასოდეს არ ყოფილა, იგი ყოველთვის საერთო ქართულ ფეოდალურ სამყაროს ეკუთვნოდა.

XIV-XV საუკუნეებში ანაკოფიას გენუელები იკავებენ. ზღვის პირას მდ. ფსირცხის შესართავთან ისინი აგებენ ციხეს და აარსებენ ფაქტორიას. ამ დროიდან ანაკოფიის ციხე-ქალაქი თანდათან კრინდება. ხშირდება ჩრდილოკავკასიელების შემოსევები. ისინი სარგებლობდნენ საქართველოს ფეოდალური მონარქიის დაქუცმაცებულობითა და სისუსტით, თავს ესხმოდნენ, არბევდნენ და ძარცავალნენ მოსახლეობას. მოგვიანებით, XVII საუკუნეში, გახშირებული თავდასხმებისაგან შენუხებული სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი ანაკოფიას ზღვდეს ავლებს [41.782]. არქანჯელო ლამბერტისა და კასტელის მიერ შექმნილ რუკებზე (1654 წ.) გაეკუთხული ნარჩერების მიხედვით გასაგები ხდება, რომ ანაკოფიასთან 60 მილის კედელი იყო აგებული „აფხაზთა შემოსევების ნინაალმდევ“ [1.17; 21]. მიუხედავად ამისა, 1813 წლამდე ანაკოფიას სახელწოდება არ შეუცვლია. XIV ს. პიეტრო ვესკონტეს მიერ შედგენილ რუკაზე იგი ფიქსირებულია Flum de nicofa-ს სახელით [61.]. გ. ამიჩბას მიერ მოკვლეულ 1813 წლის „შავად შედგენილ“ რუკაზე, პირველად ფიქსირებულია ტოპონიმი „ფსირცხა“ [57.68], რომელიც 1948 წ. 3.09 „აზალი ათონით“ შეიცვალა. მაღლე იგიც ტოპონიმის რუსულმა ფორმამ ჩივაში ადგილი ფსირცხას ჩერქეზულსა და ყაბარდოულ ენას უკავშირებდა [49.46]. თავისი ბოლოებული ფორმატით „-ია“ პ. ინგოროვა ანაკოფიას ქართული გეოგრაფიული სახელების ჯგუფს მიაკუთვნებდა [20.151]. ტოპონიმ ანაკოფიას და ანაკევას ერთმანეთს უკავშირებდა კ. ბერულავა, თუმცა, სახელწოდებას VI საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიელების მიერ დამკვიდრებულად თვლიდა [5.33]. თ. მიბრუანის ვარაუდით, „ანაკოფია რომ აფსური ყოფილიყო, მას ფსირცხა არ ჩაენაცვლებოდა“.

ქუთილი, მშვენიერი, ზღვასა ზედა ნაშენებული, შემდგომად ბაგრატიონისგან უმეტეს განდიდებული“ [41.781-782] ჩრდილო-კავკასიელების შემოსევების შედეგად ნანგრევებად იქცა. 1875 წ. ამ ნანგრევებთან სიმონ ქაზანელის სახელობის ახალი ათონის რუსული მონასტერი დაარსდა, რის შედეგადაც მთელ ტერიტორიას ენოდა ათონი. 1880-იან ნლებში აქვე დამარსდა ნმინდა პატრიტელემონის სახელობის რუსული მონასტრის ფილიბლი, რომლის მიზანს ქართველებისაგან აფხაზების სულიერი დაშორება წარმოადგენდა [4.102]. ანაკოფიას ქართულ ძეგლად აღიქვამდა არქანჯელო ლამბერტი. იგი ნერდა — „კოლხეთის გარედ, აფხაზების და ჯიქების ქვეყნაში, მშვენიერი ტარძები დგრძან ქართულად აშენებული და ქართულის ზედნარწერებით. მაგ.: ანაკოფიაში და ბიჭვინთაში არის კოლხეთის, გურიის და იმერეთის პარტირიარქის საჯდომი“ [1.17].

საქართველოსაგან განკერძოებულად განიხილავდნენ ანაკოფიას აფხაზი მეცნიერები. მაგ. შ. ინალ-იფა მას შუასაუკუნეების აფხაზი მთავრების ქალაქად მიიჩნევდა, რომელიც Hakyanha-უხა ლნაა (ნაყოფია-უქა ლბა) ე. ი ნაყოფიერების დედოფლის -ციხე იყო. მიუხედავად იმისა, რომ ნაყოფი ქართული სიტყვაა და მასში გამრავლება, მოსავლის მოცემა, ნაყოფიერება იგულისხმება, იგი ამ ტერმინიდან მიღებულ ანაკოფიას მინიც აფხაზურად თვლის, რომელიც გრძელ გზას უნდა აღინიშნავდეს [70.115]. ბ. ბლაზბას აზრით, კი აფხაზური ანაყიაჭაჭა (გამოშვერილი, დასერილი, დაკლაკნილი ადგილი) და ნაყუა (მყინვარი) ტერმინებიდან უნდა ნარმოჩენილიყო აფხაზური „ანაყოფია“ [59.255]. არც ბ. ბლაზბას მოსაზრების გაზიარება შეიძლება, რადგანაც აყაბაჭაჭა შეიძლება სართლაც გადმოსცემდეს გამომვერილ, დასერილ, დაკლაკნილ ადგილს, მაგრამ ამ შემთხვევაში ან- თავასართი მისთვის სრულიად ზედმეტია. აქედან გამომდინარე ფონეტიკური თვალსაზრისით აყაბაჭაჭას არ შეიძლება მოეცა ანაკოფია. ჩვენი აზრით, არც შავ ზღვაზე აღმართულ მშრალ კლდოვან მთას არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს ტერმინ მყინვართანაც.

ტოპონიმებს — ფსირცხასა და ანაკოფიას იკვლევდნენ ქართველი მეცნიერებიც. ივ. ჯავახიშვილი ფსირცხას ჩერქეზულსა და ყაბარდოულ ენას უკავშირებდა [49.46]. თავისი ბოლოებული ფორმატით „-ია“ პ. ინგოროვა ანაკოფიას ქართული გეოგრაფიული სახელების ჯგუფს მიაკუთვნებდა [20.151]. ტოპონიმ ანაკოფიას და ანაკევას ერთმანეთს უკავშირებდა კ. ბერულავა, თუმცა, სახელწოდებას VI საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიელების მიერ დამკვიდრებულად თვლიდა [5.33]. თ. მიბრუანის ვარაუდით, „ანაკოფია რომ აფსური ყოფილიყო, მას ფსირცხა არ ჩაენაცვლებოდა“.

მას მიაჩნია, რომ ანაკოფია ქართული სახელია, კომპოზიტია და შედგება ანა + კოფი-საგან. ანა სახელია, ხოლო კოფი — სვანურ ენაზე ქალთა სამკურნალო ბალახი [32.164].

ჩვენი ვარაუდით ანაკოფია ბერძნული წარმოშობისაა და „ანაკოპედან“ უნდა მოდიოდეს, რომელიც შებრკოლებას, შეფერხებით სვლას აღნიშნავს. „ანაკიუპტო“ კი არის რამე ზედაპირზე ზემოთ ასვლა შეფერხებით [65.120-121]. სწორედ ბერძნულ ენას უნდა გამოეხატა ის პროცესი, რომელიც ციხე-სიმაგრეზე დაბრკოლებით მაღლა ასვლას მოჰყებოდა. თავისთავად ცხადია ისიც, რომ ბერძნულმა ტოპონიმმა დროთა ვითარებაში ქართული ენის გავლენა განიცადა, რადგანაც იგი აგებულებით, ბოლოვიდური-ია სუფიქსით უფრო ქართულია ვიდრე აფხაზური.

ამრიგად, უძველესი ციხე-ქალაქის სახელი XIX საუკუნის დასაწყისამდე ბერძნული იყო და მხოლოდ ამის შემდეგ შეიცვალა ჩერქეზულ-ყაბარდოული ტოპონიმით, რომლის დამკიოდრება ჩრდილო-კავკასიიდან შემოდინებულ მიგრაციულ ერთ-ერთ ტალღას უკავშირდება.

ილორი — ადმინისტრაციული ცენტრის დაარსებას აქ ნინ უძლოდა წმინდა გიორგის ტაძრის აგება. სწორედ წმ. გიორგის ტაძრის გარშემო გაჩნდა დასახლება. ტაძრის აღმოსავალეთის კედლის წარწერის მიხედვით, მისი აგება თარიღდება XI საუკუნის I მეოთხედით. თავდაპირველად დასახლება მდებარეობდა მდ. ლალიძეს შესართავთან და განვითარების მიზანით. როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა, ნაპირზე. XX საუკუნის დასაწყისისათვის დასახლება მხოლოდ ტაძრის მარცხენა მხარეს, მდ. ლალიძეს მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა [12.175; 74.37; 73.17]. ილორის ქრისტიანული ტაძრი შუასაუკუნების კავკასიაში და მეზობელ ქვეყნებშიც ძლიერი რელიგიური ცენტრი იყო. მას პატივს სცემდნენ მაჰმადიანი თურქები, აფხაზები, ჩერქეზები, ისები და ჩრდილო-კავკასიის სხვა ხალხები [66.160]. ილორში ძველთაგანვე ქართველური (მეგრული) მოსახლეობა ცხოვრობდა. ი-ლორ-ი თავისი აგბულებითა და ი-ი სუფიქსებით აქვარად ქართველურია. მისი აფხაზური სახელწოდება ელგურ, მეგრული ენის საფუძველზე შექმნილი. თუმცა, ი. აძინბას [54.82], ა. კაციას [73.19] და ვ. კვარჭიას [72.61] ვარაუდით თითქოს ილორი სწორედ აფხაზურ ელგრს უნდა მოეცა, რაც გამორიცხულია. სოხუმი აფხაზი მმართველების ხელში მხოლოდ XVI საუკუნის 50-იან წლებში გადავიდა. XVII საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროს შორის საზღვარი მდ. კელასურზე გადიოდა [60.55]. ამრიგად, ამ ტოპონიმს აფხაზები ვერ შექმნიდნენ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ რეგიონში XI და არც შემდგომ საუკუნეებში არ ცხოვრობდნენ. ტოპონიმიც ქართველურია და მაშასადა-

მე იქ მაცხოვრებელი ქართველების მიერაა დამკიოდრებული. ამას მხარს უჭერს ისიც, რომ ტოპონიმი ილორი გვხვდება საქართველოს სხვა კუთხეებშიც. მაგ.: ქ. ქუთაისთან და ორი მათვანი დადასტურებულია სენაკის რაიონშიც [82.101].

რაც შეეხება კარტოგრაფიულ წყაროებს, პირველად ილორი 1318 წ. კუსკონტეს მიერ შედგენილ რუკაზე მითითებულია Chorobendi [61.]. ამავე ფორმებით — კორობენდი, კორობონდინა, კორობონდია დასტურდება იგი XIV-XVII ს. ს. გენუელთა რუკებზე [74.38]. შესაძლებელია ამ შემთხვევაში ილორი გაიგვიებულია მეზობელ დასახლებასთან — გურბედიასთან. XVII საუკუნეში არქანჯელო ლამბერტისა და ქრისტეფორე კასტელის რუკებზე იგი უკვე ილორი ფორმით არის დამონმებული [62.838, 840]. ილორი ფორმითა იგი მითითებული დ. პაგირევის ხუთვერსიან რუკასა და მისივე ანბანურ საძიებელშიც [82.102]. ამავე ფორმითა იგი ფიქსირებული ეკვრობული რუსეთის სპეციალურ რუკაზე” (1921 წ.), „გეოკარტიკორმის“ რისტრო-დონის 1926 წ. და სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს მიერ დამტკაცებულ 1946 წ. რუკებზე.

ოჩემჩირე — გაშენებულია შავიზღვისპირა დაბლობზე მდ. ლალიძეს შესართავის მარჯვენა ნაპირზე. თანამედროვე ქ. ოჩემჩირის ადგილას სპეციალისტები ვარაუდობენ ბერძნული ანტიკური ქალაქის გიონოსის (Kiknos, Gieneos) [77.130, 132-133, 138] არსებობას, რომლის ნარმოქმანა ძველი წელთაღრიცხვის V ს. იგულისხმება [25.36]. ეს ქალაქი თავის არსებობას ძველი წელთაღრიცხვის III ს. წყვეტს. [86.23]. გინოს გუნოს ბერძნულად აღნიშნავს გორას, ამაღლებას, ზეგანს [65.331]. გიონოსი, რომ თანამედროვე ოჩემჩირის ადგილას მდებარეობდა, ამას მრავალი მეცნიერი და მათ შორის ბ. კუჭტინიც იზიარებდა [75.158, 264]. ტიპიურ სავაჭრო ფაქტორიად მიაჩნდა იგი ლ. სოლოვიოვს და ფიქრობდა რომ ქალაქი სეზონურ ვაჭრობას ემსახურებოდა [85.110-111].

გიონოსი პირველად მოხსენიებულია ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში სკილაქს კარიანდელთან, Tioehos ფორმით [28.404; 74.]. VI საუკუნის მოღვანე სტეფანე ბიზანტიიელი ადასტურებდა, რომ „ქალაქი Puenus კოლხეთშია“ [62.190]. დიუბუა დე მონპერეს ქალაქი ტკაცასას სახელით აქვს მოხსენიებული, რომელსაც დიოსკურიის შემდეგ მთავარ ბერძნულ კოლონიად თვლიდა. მისივე ცნობით, ძველი ქალაქის ადგილას თურქებმა მდ. მერკულასა და მდ. ლალიძეს შორის ახალი ქალაქი (იენი-შერი) გააშენეს [66.]. ცხადია შერში ქ. ოჩემჩირე იგულისხმებოდა. თუმცა, აერ სავაჭრო დაბის და შემდეგ ქალაქის დაარსება მხოლოდ მკვიდრი,

ქართველი მოსახლეობის მიერ უნდა მომხდარიყო. როგორც ცნობილია, ბერძნული კოლონიები ცარიელ ადგილზე სულაც არ ფუძნდებოდა, არამედ ისინი იმ ადგილებზე ჩნდებოდნენ, სადაც ტომთაშორისი ვაჭრობა იყო გამართული [80.241-242]. ქალაქის შერეულ მოსახლეობაში ბერძნულს ადგილობრივი ჭარბობდა. ანტიკურ ხანაში გიენოსი ხანძრისაგან უნდა განადგურებულიყო. არქეოლოგიური გათხრებით ცნობილი ხდება, რომ ქალაქის დაჭაობებული ნიადაგი დაბლა ინკვდა და მოსახლეობას სისტემატიურად ამ ადგილის ხელოვნურად ვამაგრება უხდებოდა და ამიტომ უძველესი არქეოლოგიური ფენები ქრებოდა [69.19, 124, 242]. მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ზღვის ნაპირზე, ოჩემჩირეში გაშენდა აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის საზამთრო სასახლე. აფხაზი გლეხები ამ დროისათვის აქ მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ, რადგანაც ისინი ჯერ კიდევ მთავან სოფლებში ბინადრობდნენ. ქ. ოჩემჩირეში XIX საუკუნეში და მის მეორე ნახევარში ვაჭრობას მისადევდნენ მეგრელ-ლაზები, რომლებსაც ბზა და სიმინდი თურქეთსა და მარსელში გაქცეონდათ [39.320, 322].

1847 წ. ოჩემჩირე ოფიციალურად გახდა პორტი, თუმცა 80-90-იან წლებშიც კი ჯერ კიდევ პატარა დაბას წარმოადგენდა [84]. 1917 წ. ოჩემჩირის რაიონის მთელი ტერიტორია ქუთაისის გუბერნიის, სოხუმის ოკრუგში შედიოდა. ქალაქად 1926 წ. გაფორმდა [64.360], რომლის ტერიტორია ისტორიული კოლხეთის იმ ნაწილში იყო, სადაც უძველესი დროიდან ქართველური მოსახლეობა ცხოვრობდა.

დ. პაგირევის ხუთვერსიან რუკაზე და მის ანბანურ საძიებელში იგი ოჩემჩირე ფორმით არის დადასტურებული [82.197]. ამავე სახელწოდებითაა იგი მითითებული 1921 წ. „ევროპული რუსეთის რუკაზე“. ამავე ფორმით მოიხსენიებს თავის 1913 წ. გზამკელევში კ. მაჭავარიანიც [79.119]. 1946 წ. სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს №8 კარტოგრაფიულ ფაბრიკაში შესრულებულ ოფიციალურ რუკაზე ეს ქალაქი უკვე ოჩემჩირა ფორმით გვხვდება, რაც „ზანური სიტყვის აფხაზური ფორმით იყო შეპირობებული (აფხ.: ქაჩამჩრა)“ [38.181].

ე. ყიფშიძეს [46.566], თ. სახოკას [39.322] და ნ. მარს [78.210-211] ტოპონიმი ოჩემჩირე თურქული ენიდან შეთვისებულად მიაჩინდათ, რომლის საფუძველი უნდა ყოფილიყო თურქული ან გათურქებული ჭანური ლექსემა „ჩიმშირი“ ბზა, ე. ი. „საბზავე“. თუმცა, ნ. მარის მეორე ვარაუდით ოჩე- მეგრულად უჩასაგან (მავი), ხოლო -მჩირე- ჭანური ფართო, ვრცელისაგან მოდიოდა. თავდაპირველად უნდა ყოფილიყო უჩამჩირე > ოჩემჩირე. გ. რო-

გვა 6. მარის ვარაუდიდან სარწმუნოდ მხოლოდ ფუძისა და მეორე კომპონენტის გამოყოფას (ოჩე-მჩირა) მიიჩნევდა. თავკიდური ო-და ბოლოსართი ი- ელემენტები მისი აზრით, სწორედ ზანურ წარმოშობას ამტკიცებენ. ე. ი. სა-ჩემჩირ-ე სიტყვა-სიტყვით (ოჩემჩირე) ყანა ვრცელს აღნიშნავდა [38.182]. ზანურ საგეოგრაფიო სახელად მიაჩინდა იგი ნ. ბერძენიშვილსაც ოჩე(მ)ჩირე – ოჩაჩირე – ჩაჩირი [6.607]. ქართველური (მეგრული) წარმოშობის პოლისონიმად თვლიან ალ. ღლონტი [45.82] და ვ. ზუხ- ბიაც [14.125]. ამრიგად, აზრი ოჩემჩირეს ქართველური წარმოშობის შესახებ სამართლიანია. ეს ნათელი ხდება დანიშნულების მანარმოებელი მეგრული ო-და -ე სუფიქსების გამონ და რომელიც ითარგმნება სამინდვრე, სახოდაბუნე ადგილად. ტოპონიმი კომპონიტია და ორი ელემენტისაგან „ოჩე“ და „მჩირე“-საგან შედგება. „ოჩე“ მეგრული სიტყვაა და დიდ ცონას (ყანას), მინდორს, ხოდბუნს აღნიშნავს [42.462]. „მჩირე“ ჭანური ლექსემა მდ ფართოს, ვრცელს აღნიშნავს [38.182]. სენაკის რაიონში „ოჩე“ ტოპონიმი ყოფილი მოიპოვება.

გუდაუთა — შაგიზლუისპირა ამ საქალაქო დასახლებას საფუძველი XIX ს. ბოლოს ჩაეყარა. თ. სახოკაიმ 1893 წ. მოგზაურობისას აღნერა ეს დასახლება და მას „მოზრდილი დაბა“ უწოდა. დაბაში 172 კომლი (1117 სული) სახლობდა. მოსახლეობა ჭრელი იყო. რიცხობრივად ქართველები ჭარბობდნენ, შემდეგ იყვნენ რუსები, ბერძენები, სომხები და ბოლოს აფხაზები [19.386-387]. 1917 წ. მდინარე გუდოს შესართავთან მდებარე ეს დასახლება ქუთაისის გუბერნიის სოხუმის მაზრაში შედიოდა. 1926 წ. იგი ოფიციალურდ გამოცხადდა ქალაქად, ხოლო 1930 წ. იგი დაევანდელ საზღვრებში ჩაიმოულ ცენტრად იქცა.

კ. ინგოროვეს [20.157] და ვ. ზუხბაია [14.110] გუდაუთას ქართული წარმოშინის ტოპონიმად თვლიან. კ. პანის გუდაუთის რაიონში მოგზაურობის უწის იქაური ტოპონიმები დააფიქსირა, რომელთაგან გუდაუთა ქართულ სიტყვა გუდას დაუკავშირა. მისი ვარაუდით, ტოპონიმი გუდაუთა მდ. გუდოს ხეობის, მის სათავეებთან აღმართულ გუდოს მთის, ამ ხეობაში იმ უწისოსათვის არსებული სოფლის — გუდაურის სახელწოდებიდან უნდა ჩამომდგარიყო. მისი ცნობით, სოფ. გუდაურის მოსახლეობა თხის და ხსოს ტყავისაგან შავი გუდების რენვით იყო დაკავებული [63.40]. თუ ესეიზარებთ კ. პანის ამ ცნობას, მაშინ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ესეიზის სახელწოდების საფუძველი სწორედ ამ სოფლის სახელი და მისახლეობის საქმიანობა გახდა. ჩვენი ვარაუდით, შესაძლოა ამ სოფლის მისახლეობამ ვაჭრობისათვის შედარებით უფრო მოხერხებულ ადგილას, მეტენს სანაპიროსთან გადმონაცვლებისას საფუძველი ჩაუყარა ახალ

დასახლებას. ქართველური ენების სპეციფიკიდან გამომდინარე, საკუთარი სახელის გუდა-უ[რ]-თას (ე. ი. გუდაურელები) გამარტივების (-ურ სუფიქ-სის ამოვარდნით) შედეგად შესაძლოა მიღებულ იქნა გუდაუთა. აფხაზუ-რად ეს ტოპონიმი გამოითქმის, როგორც გადოთ.

მსგავსი ტოპონიმები მრავალდ არის საქართველოს მრავალ კუთხეში გავრცელებული. მაგ.: გალის რ-ში — სოფ. გუდავა, ხულოს რ-ში — სოფ. გუდასახო, ცხინვალის რ-ში — სოფ. გუდითა, დუშეთის რ-ში — სოფ. გუდა-ნი, გუდამაყარი, იმერეთში — სოფ. გუდათუბანი, ყაზბეგის რ-ში — სოფ. გუდაური, თეთრინყაროს რ-ში — სოფ. გუდარეხი, კასპის რ-ში — სოფ. გუ-დალეთი, და სხვ. გუდა ძირის ტოპონიმები გავრცელებულია ასევე მარტყი-ლის, სენაკის და სამეგრელოს სხვა რაიონებშიც. საქალაქო დასახლების საფუძვლის ჩაყრის მომენტისათვის ე. ი. XIX საუკუნის ბოლოს, როგორც ცნობილია აფხაზები უმეტესად მთიან სოფელებში ცხოვრობდნენ. ამდენად, ამ გვიან გაჩენილი ქალაქის გეოგრაფიულ საკუთარი სახელიც ქართვე-ლური მოსახლეობის ენის საფუძველზე შექმნილი.

გალი — საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებული ქალაქია. არქანჯელო ლამბერტის რუკაზე ქ. გალის ადგილზე სოფ. გოგიელია მითითებული [62.840]. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში თ. სახოვია თავის „მოგზაურობა-ში“ სამურზაყანოს ცენტრად სოფ. ოქუმის ასახელებს [39.331]. ქ. კუდრიავ-ცევის აზრით, სამურზაყანოს უზეზდის ცენტრი 1926 წ. სოფ. დალი იყო [74.37]. არც 1921 წ. ევროპული რუსეთის სპეციალურ რუკაზე და არც „გეო-კარტპრომის“ 1926 წ. რუკაზე ეს ტოპონიმი აღნიშნული არ არის. იგი ჩინდება, მხოლოდ 1928-30 წლებში, როდესაც სოფ. ოქუმიდან სოფ. დალაში გა-დააქვთ სამურზაყანოს ცენტრი. 1930 წ. რუსული ენის გავლენით ტოპონი-მი ოფიციალურად ფიქსირდება გალი ფორმით (იგივე მეგრული დალი). 1932 წ. დაბა გალი რაიონული მნიშვნელობის ცენტრი ხდება. ამასთან ერ-თად სახელი ეცვლება დასახლებულ პუნქტში ჩამომავალ მდინარე დალსაც (გალი). დალი მეგრული სიტყვაა და ლელეხს, მცირე მდინარეს აღნიშნავს, იგი მომდინარეობს ზანური *ლალუ > ლალუ > დალი ფორმიდან [43.164].

ამრიგად, როგორც დავინახეთ, ტოპონიმები ადგილობრივ ხასიათს ატარებდნენ, ექვემდებარებოდნენ მკვიდრი ენის გრამატიკულ წესს, მათი სიტყვათნარმობითი ლექსიკური მოდელები ხასესხები არ იყო. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ გარკვეულმა პოლისონიმებმა უძველესი ხანიდან ჩვენამდე თითქმის უცვლელად მოაღწიეს, ზოგმა კი იგივე მკვიდრი ენის (ქართველური) გავლენით მცირე ფონეტიკური ცვლილებები განიცადეს, მთავარი მაინც ის არის, რომ მათი სემანტიკა მხოლოდ ქართველური ენის საფუძველზე აიხსნება.

თითოეული პოლისონიმის ნარმოქმნას ობიექტური მიზეზი ედო საფუძ-ვლად. მათი კლასიფიკაციის დროს იკვეთება სახელების მოტივაციის რამ-ტენიმე მთავარი საფუძველი — მცენარეული საფარის თავისებურება (გაგ-რი, ბიჭვინთა, ცხუმი); გეოგრაფიულ-ბუნებრივი მდებარეობა (ბერძნული მხეოვნია, მეგრ. გალი) და სამეურნეო ხასიათი (ოჩიმჩირე, გუდაუთა). უც-ნობია სემანტიკის თვალსაზრისით ილორი, მაგრამ გრამატიკული წყობით იყი აშკარად ქართულია (მეგრულია).

იმისათვის, რომ ეთნოლოგიურ ასპექტში შეგვესნავლა აფხაზეთის ქა-ლები, თავდაპირველად ნარმოდებნა უნდა შეგვექმნა თუ რას ნარმოად-გენდა ძველად ეს მსხვილი ობიექტები. გარკვეულ თავისებურებებთან ერ-თად საჭირო იყო გამოვევლია გამოირჩეოდნენ თუ არა ისინი მოსახლე-ობის რაოდენობით, განვითარების პოლიტიკური, ეკონომიკური, მეურ-ნეობის, ვაჭრობისა და ქალაქური ცხოვრების სხვა წესებით, რაშიაც იგუ-ლისხმება არაეკონომიკური სფეროებიც (დასახლების ფორმა, სოციალუ-რი ყოფა და სხვ.). აფხაზეთის ქალაქებმა დაარსების გრძელი და მრავალ-ურვობანი გზა განვლეს, ისინი უმეტესად მცირე ერთეულების (სოფლე-ბის) შეერთებისა და ზოგჯერ კონკრეტული დასახლების გაზრდის შედე-ბიდაც ყალიბდებოდნენ. ასეთი ნარმონაქმნები თავიდანვე ხდებოდნენ მოგორც ადგინისტრაციული, ისე რელიგიური და ეკონომიკური ცენტრე-ბი. მაგრამ დღეს ჩვენს ამოცანას არ ნარმოადებნა ამ ქალაქების ნარმო-ბის და განვითარების მიზეზთა ძიება. მათი განვითარების გზები კარ-ბიდ არის შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. ნაშრომები ამ სა-კონტინენტის შესახებ ნაწილობრივ გამოყენებულია ჩვენს ნაშრომშიც. ამჟამად ჩვენი მიზანი იყო აფხაზეთში არსებული ძველი და ახალი ქალაქების სახ-ლონდებების შექმნების ეთნიკური გარემოსა და ენის გარკვევა. რად-განსაც ერთ-ერთი ელემენტი ტოპონიმებია რომელთა კვლევის შედეგადაც მესამედებლივ დადგინდეს აფხაზეთის მოსახლეობის ვინაობა და მათი ეთნიკური შემადგენლობა, რომელიც ძველთაგანვე რთული იყო. უძველეს უწოდეს ადგილობრივი, მეკიდრი ბირთვის გვერდით ჯერ ბერძნული ელე-მენტი, ხოლო მოგვიანებით ჩრდილო-კავკასიური მიგრაციული მოსახ-ლონდები ცხოვრობდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა ეპოქაში წამყვანი ეთნიკური ძალა ქართველური მოსახლეობა იყო. ტოპონიმების ენის სამოვლინება, ხელს უწყობს ქართველი ხალხის აფხაზეთში განსახლების მერალის დადგენასაც.

უცხოურ და ძველეართულ საისტორიო ნერილობით და კარტოგრაფი-ულ წყაროებში აფხაზეთის უძველესი ქალაქების ტოპონიმები ქართულ წესზე ფიქსირებული (გარდა ორი ბერძნული სახელნოდების — სებასტო-

პოლისი, ანაკოფია), ასევე ქართულ ენაზეა შექმნილი გვიან ჩამოყალიბებული ქალაქების სახელებიც. ამდენად, მათ შესახებ ზემოთმოყვანილი და გაანალიზებული მოსახლეობის იძლევა დავადასტუროთ, რომ აფხაზეთში ავტოქტონურ მოსახლეობას წარმოადგენდა ქართველები, ხოლო სხვა ეთნიკური ჯგუფები გვიან, მიგრაციული გზით არიან შემოსახლებულები.

კვლევის შედეგად მტკიცდება, რომ მთელი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზების განსახლებას წინ ქართველური მოსახლეობა უსწრებდა. სხვადასხვა ეპოქაში მნიშვნელოვანი ცვლილებების მიუხედავად, ქართველური (ქართული) სახელწოდებებს შექმნაში, ქართული ქალაქების პოლიტიკურ-ეკონომიკურ, რელიგიურ და კულტურულ ცხოვრებაში ყველაზე საგულისხმო წვლილი, სწორედ ქართველურ ხალხს შეჰქონდა. სხვადასხვა ხასათის წყაროებში კარგად ჩანს, თუ რა ზიანი მოპქონდა მიგრაციულ ტალღებს ჩრდილო-კავკასიიდან. ისინი დევნიდნენ მკვიდრ მოსახლეობას, ანადგურებდნენ მატერიალურ კულტურას, მაგრამ მიუხედავად ამისა საზოგადოებრივი წინსვლა მაინც არ შეჩერებულა. მკვიდრ მოსახლეობა, რომ თავისი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული დონის გაცილებით მაღალ საფეხურზე მყოფ საზოგადოებას წარმოადგენდა, ჩანს იქიდანაც, რომ დანგრეული ქალაქის ადგილზე კვლავ ახალი შენდებოდა. ამის დამადასტურებელია არქეოლოგიური მასალები, ხუროთმოძღვრული ძეგლები და სხვ. ყველაფერი ზემოთქმული კი დაბეჭიობით მიუთითებს იმაზე, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე კარგად განვითარებული ქართული სახელმწიფო არსებობდა.

ამრიგად, ცხადი ხდება, რომ აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო და მთელ თანამედროვე ტერიტორიაზე უხოსოვარი დროიდან ქართველური მოსახლეობა ცხოვრობდა. ამდენად, კანონზომიერ მოვლენად მიგვაჩნია, რომ სწორედ ავტოქტონური მოსახლეობა ქმნიდა უმთავრეს და ძირითად ტოპონიმებს..

დამომტებული წყაროები, ლიტერატურა და შენიშვნები:

1. არქანჯელო ლამბერტის სამეგრელოს აღწერა. ბათუმი, 1991
2. ა. აფაქიძე. „დიდი პიტიონტი“ — არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში, „დიდი პიტიონტი“, 1, თბ., 1975
3. თ. ბერაძე. „გაგარი“ და უღალის განმარტებისათვის, „მაცნე“, 1, 1973, ისტორიის სერია
4. თ. ბერაძე. ვახუშტი ბაგრატიონი აფხაზეთისა და ჯიქეთის შესახებ. აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბ., 1998
5. ქ. ბერულავა. აფხაზეთის ისტორიული ადგილები. თბ., 1951
6. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. VIII, თბ., 1990
7. გ. გასვიანი. აფხაზეთი, ძევლი და ახალი აფხაზები. თბ., 1998
8. გ. გასვიანი. ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან. თბ., 1991
9. თ. გვანცელაძე. ქართველური სუბსტრატული ტოპონიმები აფხაზეთში. „არტანუჯი“, 10, თბ., 2000
10. თ. გვანცელაძე. ენობრივი მონაცემები და მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის. აფხაზეთის ისტორიის პრობლემები. თბ., 1998
11. თ. გვანცელაძე. ქართველური ქრისტიანული ტერმინების აფხაზურ ენაში სესხების დროის საკითხისათვის. „არტანუჯი“, 10, თბ., 2000
12. ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება. თბ., 1926
13. ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი. თბ., 1971
14. ვ. ზუხბაია. აფხაზეთი ჩემო. თბ., 1998
15. ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში. ძევლი საქართველო, III, 1913, 1914
16. ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი. თბ., 2000
17. მ. ინაძე. ძევლი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური საკითხები. „მაცნე“, 1, 1992, ისტორიის სერია
18. მ. ინაძე. ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქები. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე. 4, თბ., 1963
19. მ. ინაძე. ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქები (დიოსკურია). ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. VI, ნაკ. 2, თბ., 1962
20. მ. ინგოროვა. გორგი მერჩულე. თბ., 1954
21. კასტელი. კოლხეთის ანუ სამეგრელოს რუკა. ის.: ილ. ტაბაღუა, საქართველო. III, თბ., 1954
22. ვ. კიკნაძე. XIV ს. ლათინური წყარო საქართველოზე. გაზ. „სახალხო განათლება“, 1989, 18, X
23. დ. ლეთოდიანი. აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII ს. ს.-ში, თბ., 1991
24. ქ. ლომთათიძე. აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ. „მათობი“, 12, თბ., 1956
25. ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968
26. ნ. ლომოური. კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია. თბ., 1962
27. გ. ლორთქიფანიძე. ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბ., 1991
28. გ. მელიქიშვილი. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970

29. გ. მელიქიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავალეთის უძველესი მოსახლეობის საკითხებისათვის. თბ., 1965

30. თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგრანზეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თბ., 1989

31. თ. მიბჩუანი. კოლხური ქალაქი სოხუმი 2500 წლისა. „ლიტერატურული საქართველო“, 38 (3298), 15-21 სექტემბერი, თბ., 2000

32. თ. მიბჩუანი. აფხაზეთის ტოპონიმიკა. აფხაზეთის ისტორიის პრობლემები. თბ., 1998

33. დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. თბ., 1977

34. ამ უკანასკნელ ხანებში ისტორიული წყაროების ახლებური ინტერპრეტაციის საფუძველზე, აფშილები ერთ-ერთ ლაზურ ტომად არის მიჩნეული. იბ.: დ. მუსხელიშვილი. აფშილთა ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის. „არტანუჯი“, 10, თბ., 2000

35. „მწყემსი“, 1893, 11, აფხაზეთის რუკა

36. პროკოპი კესარიელი. გეორგიე. ტ. 2, თბ., 1965

37. თ. უორდანია. ქრონიკები, II

38. გ. როგავა. ზოგი გეოგრაფიული სახელის (ოჩამჩირე, ტყაურუ) შედგენილობისათვის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 93, თბ., 1960

39. თ. სახოვა. მოგზაურობანი. ბათუმი, 1985

40. ჟ. ფერიხი, ზ. სარჯველაძე. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბ., 2000

41. ქართლის ცხოვრება. IV თბ., 1973

42. თ. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, თბ., 2002

43. თ. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, თბ., 2002

44. ქსე, 9, თბ., 1985

45. ალ. ღლონგტი. ტოპონიმიკური ძირისანი, I, თბ., 1971

46. ი. ყიფშიძე. ჩჩეული თბზულებანი, თბ., 1994

47. ა. ჭკადუა. ტოპონიმიკურ შესატყისობათა ძირითადი პრინციპები (ქართველურ ტოპონიმთა მონაცემების მიხედვით). ონომასტიკა. I, თბ., 1987

48. ივ. ჯავახიშვილი. თბზულებანი, ტ. II, თბ., 1983

49. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორიის შესავალი. I, თბ., 1950

50. ს. ჯანაშვილი. შრომები. III, თბ., 1959

51. გ. ჯაფარიძე. ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები. საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993

52. ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII ს. ს. თბ., 1996

53. ჰიდრონომიკური სახელების შესწავლის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ მდ. აბასკოსა ზ. ანჩაბაძისაგან განსხვავებით, მრავალი მეცნიერი თანამედროვე მდ. ფსოუსთან აიგვებს.

54. ადzinba I. E. Архитектурные памятники Абхазии. Сухуми, 1958

55. ანчабадзе З. В. Вопросы истории Абхазии в книге П. Ингороква, "Георгий Мерчule" - Грузинский писатель X века. Труды абхазского ин-та языка, литературы и истории, XXVIII, Сухуми, 1956.

56. ანчабадзе З. В. История и культура древней Абхазии, М., 1964

57. ამიჩა გ. А. Новый Афон и его окрестности. Сухуми, 1988

58. არхимандрит Леонид. Абхазия и в ней Ново-Афонский Симонокананитский монастырь. С картами Абхазского побережья и части Римской империи, Составитель И. Н. М. 1899

59. ბაჯба ხ. ს. ბзыбский диалект абхазского языка, Тб., 1942 [258: 260] [255]

60. ბერაძე თ. ნ. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989

61. ბრუნ ფ. Черноморье, Сборник исследований по исторической географии Южной России (1852-1877 г. г.), часть II, Одесса. 1880, Факсимиле карты Черного моря П. Весконте 1318 г.

62. გამახარია ჯ., გოგია ბ. Абхазия - историческая область Грузии, Тб., 1997.

63. გან კ. Опыт объяснения кавказских географических названий, СМОМПК, вып. 40, Тифлис, 1909.

64. გеографический энциклопедический словарь. М., 1989.

65. დვორეცкий ხ. Древне греческо-русский словарь. I, М., 1958.

66. დიუბა დე მონპერე. Путешествие вокруг Кавказа. Т. I, Сухуми, 1937

67. ინაძე მ. პ. Вопросы этнополитической истории древней Абхазии. Расследования по истории Абхазии/Грузия, Тб., 1999

68. ინაძე მ. პ. Города Колхиды в античную эпоху (Диоскурия). Труды института истории им. И. А. Джавахишвили АН ГССР, т. V, вып. 2, 1962

69. ინაძე მ. პ. Причерноморские города древней Колхиды. Тб., 1968

70. ინალ-იპა შ. დ. Абхазы, Сухуми, 1965.

71. ინალ-იპა შ. დ. Вопросы этнокультурной истории абхазов. Сухуми, 1976

72. კვარჩავა ვ. ე. Ойконимы Абхазии в письменных источниках. Сухуми, 1995

73. Кация А. Илори памятник XI века. Сухуми, 1963
74. Кудрявцев К. Сборник материалов по истории Абхазии. Сухуми, 1926
75. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды. II, Тб., 1950
76. Ломоури Н. Абхазия в позднеантичную и раннесредневековую эпоху. Разыскания по истории Абхазии/Грузия, Тб., 1999
77. Лордкипанидзе О. Древняя Колхида, Тб., 1979
78. Марр Н. Грамматика чанского (лазского) языка, 1910
79. Мачавариани К. Д. Описательный путеводитель по городу Сухуми и Сухумскому округу, Сухуми, 1913
80. Меликишвили Г. А. К истории древней Грузии. Тб., 1959
81. Мусхелишвили Д. Исторический статус Абхазии в Грузинской Государственности. Разыскания по истории Абхазии/Грузия, Тб., 1999
82. Пагирев Д. Алфавитный указатель к пятиверстной карте Кавказского края. Издания Кавказского военного топографического отдела ЭКОИРГО, кн. XXX, Тифлис, 1913
83. Пачулиа. Легенды лазурного берега. М., 1973
84. Прицкер Л. Очамчира (из истории города). Газ. "Советская Абхазия", 1972
85. Соловьев Л. Н. Диоскурия-Севастополись. Цхум, Труды Абхазского государственного музея. Вып. I, Сухуми, 1947
86. Соловьев Л. Н. Энеолитическое селище у Очемчирского порта в Абхазии СМИА, т. I, 1939.
87. Трапш М. М. Труды. т. 2, Сухуми, 1969
88. Трапш М. М. Древняя Диоскурия, "СА", 4, X, 1963
89. Шагиров А. К. Этимологический словарь адыгских (черкесских) языков, П-И, М., 1977
90. Шакирбай Г. З. Значение основы ხა в топонимии Абхазии. Этнография имен. М., 1971
91. Шакирбай Г. З. Топонимия Абхазии. Сухуми, 1992
92. Шакирбай Г. З. Топонимия Абхазии. Сухуми, 1993
93. Шакирбай Г. З. Топонимия Абхазии. Сухуми, 1994
94. Шакирбай Г. З. Топонимия Абхазии. Сухуми, 1995
95. Шакирбай Г. З. Топонимия Абхазии. Сухуми, 1996
96. Шакирбай Г. З. Топонимия Абхазии. Сухуми, 1997
97. Шакирбай Г. З. Топонимия Абхазии. Сухуми, 1998
98. Шакирбай Г. З. Топонимия Абхазии. Сухуми, 1999
99. Шакирбай Г. З. Топонимия Абхазии. Сухуми, 2000
100. Шакирбай Г. З. Топонимия Абхазии. Сухуми, 2001

С. И. Бахиа-Окруашвили

РЕЗЮМЕ

Топонимия и антропонимия Абхазии

III. Полисонимы

Абхазия не отличается многочисленностью полисонимов, но по своему значению некоторые из них весьма примечательны. Они относятся к различным эпохам. Несмотря на исторические явления, имеющих место в Грузии, имена собственные древнейших городов Абхазии дошли до нас почти без изменений. Таким являются: Бичвинта (Пицунда), Гагры (Гагры), Сохуми (Сухуми, Цхуми), Очемчире, Анакопия, Илори и др. Они выделялись в стране своими социально-экономическими, религиозными, внутренними и внешними торговыми отношениями. Большинство из них имело портовое значение.

Целью статьи являлось определение этнической среды и языка, создавших топонимы старых и новых городов. Топоним — один из элементов, изучение которого может помочь в установлении сущности и этнического состава населения Абхазии. Правда, в древности, рядом с местными, коренным ядром проживал греческий элемент, а позднее Северо-Кавказские (абхазское) племена, но несмотря на это, во все времена, ведущей этнической силой являлось картвельское (грузинское) население.

Все полисонимы Абхазии созданы на грузинском языке, носили местный характер, подчинялись грамматическому строю картвельских языков. Их лексические модели не заимствованы. Семантику топонимов можно объяснить лишь опираясь на картвельские языки, кроме двух греческих топонимов (Себастополис, Анакопия). Все вышеназванное подтверждается иностранными и древнегрузинскими историческими письменными источниками и Картографическими данными, лингвистическим исследованием и др.

Образование каждого полисонима имеет объективную основу. При их квалификации выделяются несколько главных моментов, наименования: растительного свойства (Гагры, Бичвинта (Пицунда), Цхуми); географические-природные (греч. Анакопия, мегр. Гали) и хозяйственного характера (Очемчире, Гудаута). В семантическом плане неизвестно происхождение

наименования Илори, но по грамматическому строю оно безусловно грузинское (мегр.).

Итак, исследование полисонимов бесспорно указывает на то, что Абхазия всегда была неотъемлемой частью Грузии. Автохтонным населением являлись грузины. По всей современной территории Абхазии, до расселения абхаз, проживало картвельское население. Абхазская этническая группа обосновалась на этой территории путем миграции. Исходя из этого, вполне закономерно, что именно автохтонное население создавало главные и основные топонимы.

Лиа Хуцишвили

БЫТ И УЧЕНИЕ ДУХОБОРОВ ГРУЗИИ

Секта духоборов сформировалась как организованное течение в России в середине XVIII века, чему способствовали авторитаризм русской православной церкви, полная противоречий социально-политическая жизнь государства в тот период и навеянные из Европы реформистско-протестантские идеи.

В XVI веке во многих странах Западной и Центральной Европы прошла волна социально-политических и идеологических перемен, повлекшая за собой сложное по характеру антифеодальное движение, приобретшее форму религиозной борьбы против римско-католической церкви. Движение это известно под названием Реформации.¹

Религиозным последствием Реформации в тех странах, где она победила, было возникновение ряда новых, протестантских церквей и сект с национально-патриотическим уклоном. Идеи и взгляды новообразованных сект стали быстро распространяться. Они проникли в Россию, повлияв в определённой степени на религиозную жизнь страны. Почва для предстоящих религиозных сдвигов в России была подходящей: утвердившееся в своих правах крепостничество, с одной стороны, и развитие денежно-товарных отношений, производства и ремесленничества — с другой, усилили гнёт определённых слоев общества. Стали необходимыми поиски альтернативного по отношению к крепостничеству общественно-экономического фактора. Именно этот вакуум и был заполнен теми новыми сектами, которые в религиозной форме выражали протест против духовного и социального угнетения. Одной из этих сект была и секта духоборов, социальную базу которой составили казачество, ремесленники, помещичьи и свободные крестьяне.

У всех новых сект общим было требование исповедания веры в "духе и истине"; они выступали против авторитарной православной доктрины и господствующих церковных институтов. Понимание веры должно было быть свободно-творческим. По мнению сектантов, каждый верующий умеет, и даже обязан, удовлетворить свои духовные потребности, усовершенствовать свой разум, чувства и поведение. Церкви противостояла община единоверцев, сплочённая по принципу равенства и взаимопомощи; верующих же объединяло единство взглядов, чувств и действий. Каждая та-

- 13 Иникова С.А. Современное духоборство, в кн.:Среда и культура в условиях общественных трансформации, М. 1995 стр.47
- 14 Иникова С.А. Похоронно-поминальный обряд духоборцев, М. ИЭА, 1993 стр.134
- 15 Отрывки из Нового Завета здесь и дальше приводим из книги: Библия или книги священного Писания Ветхого и Нового Завета, изд.Московской Патриархии, М. 1956
- 16 Бонч-Бруевич В.Д. Изложение миросозерцания духоборцев, в кн. Животная книга духоборцев 1909 стр.XXVIII
- 17 Животная книга духоборцев Псалом 3-й 1909 стр.32
- 18 Бонч-Бруевич В.Д. Изложение миросозерцания духоборцев, в кн. Животная книга духоборцев 1909 стр.XXVIII
